ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება მოუწევს

გვ.4



ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 2009 №317 (5058) ფასი: 30 თეთრი

# სად იყო ომის დროს ვანო მერაბიშვილი

ომის დროს სააკაშვილს შეგნებულად აწვდიდნენ ცრუ ინფორმაციებს გვ.6



გვ.2

## კოდორი და ახალგორი ხელისუფლებას უკვე დაავიწყდა

ვის აწყობს ოკუპირებული ტერიტორიების ქართველებისგან დაცლა

## თბილისის მერობა ალექსანდრე ებრალიძესაც შეუძლია



გვ.3

„ქრისტიან-დემოკრატები" თავიანთ რჩეულს თვის ბოლოს გაამხელენ

## გიბრალტარის განაჩენი — გუდავაძის სამართალი თუ ბერეზოვსკის შეკვეთა







გვ.4



გვ.5

## მედვედევს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმება მოუნდა

## რუსეთის ქმედებებზე პარლამენტი განცხადებას მიიღებს

გვ.6





გვ.5

## ნუ მისცემთ პრეზიდენტს უპირატესობას საარჩევნო კომისიებში!

ყოფილი ნაციონალი პრეზიდენტის უფლებების შესაკვეცად ხელმოწერების შეგროვებას იწყებს



გვ.7

## ბოკერიას გავლენა სააკაშვილის კარზე ისევ გაიზარდა

## „ხელები შორს პატრიარქისგან!"

გვ.2



3 ლარის გახსნა საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნის

5 ბათუმში ილიას ძეგლის ადგილას ნეპტუნის შიშველი ქანდაკება დაიდგმება

7 მერიამ ნაძვის ხეების მოჭრა უნდა აკვეთოს

5 საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ორმილიონიანი კრედიტი აიღო

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კოდორი და ახალგორი ხელისუფლებას უკვე დაავიწყდა

## ვის აწყობს ოკუპირებული ტერიტორიების ქართველებისგან დაცლა

ნათია ხურცილავა



ყოფილმა სახალხო დამცველმა ახალგორში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა. სოზარ სუბარი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ახალგორზე და კოდორის ხეობაზე ხელისუფლების პოლიტიკას საგანგაშოს უწოდებს.

ახალგორის მოსახლეობას, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ქართული საგუშაგოსგან ექმნებათ პრობლემები. ასეთი პრობლემა შეექმნა ახალგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს თამარ მეარაყიშვილს.

სოზარ სუბარის მიერ გამართულ პრესკონფერენციას თამარ მეარაყიშვილიც ესწრებოდა.

**სოზარ სუბარი, „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— შეშფოთება და გულისტკივილი მინდა გამოვხატო იმის გამო, რომ ძალიან უცნაურ პოლიტიკას ატარებს საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით. უკვე მერამდენედ დგას დღის წესრიგში ახალგორის რაიონის, იქ მცხოვრები ადამიანების პრობლემები. საერთოდ გადავიწყებულია კოდორის ხეობა, რომელსაც ოდესღაც ვაკონტროლებდით. ეს კი სულ რაღაც ერთი წლის წინ იყო. სერიოზულად შუქდება გალი, სადაც ოკუპანტები და აფხაზი პოლიციელები ადამიანის უფლებებს არღვევენ. გალში არსებული პრობლემები, რასაკვირველია, უნდა გაშუქდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საერთაშორისო დონეზე დაიგმოს მსგავსი პრობლემები და მოსახლეობას მიეცეს ნორმალური ცხოვრების საშუალება, მაგრამ იგივე უნდა გავაკეთოთ ახალგორში, კოდორის ხეობაში.

როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველ მოსახლეობას საცხოვრებელი პირობები არ შეექმნათ.

— სამწუხაროდ, მთელი პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ არც ერთი ქართველი მოსახლე არ დარჩეს არც ახალგორში და არც კოდორის ხეობაში. გასულ ზაფხულს კოდორის ხეობის მოსახლეობის რაღაც ნაწილს ჰქონდა მცდელობა, რომ კოდორში ჩასულიყვნენ. ისინი აცხადებენ, რომ სახლების დანგრევის შემდეგ დაბრუნება გაცილებით უფრო რთული იქნება. შარშან სასაცილო სიტუაციებიც კი იყო, როდესაც წინასაახალწლოდ ერთ-ერთ ახალგორელს თბილისში თავისი 13 კგ ნიგოზი არ გამოატანეს ქართულ საგუშაგოზე. ქართველმა პოლიციელებმა უთხრეს, რომ კონტრაბანდა მოჰქონდა. ახალგორი, მათი გაგებით, საზღვარს მიღმა აღმოჩნდა. არ მინდა ამ თემებზე პრესკონფერენციებით ვისაუბრო, მაგრამ ზოგჯერ მოთმინების ფიალა ივსება და არ შეიძლება ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვათ, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

თამარ მეარაყიშვილს, რომელსაც ახალგორის ქართულ საგუშაგოსთან შეექმნა პრობლემა, ევროკავშირის მიერ ნაჩუქარი პრინტერი მიჰქონდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის. მას ქართველმა პოლიციელმა უთხრა, რომ ტექნიკის შეტანა ახალგორში აკრძალულია. პოლიციელმა თავისი პოზიციის გამყარება კანონით სცადა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კანონში მსგავსი მუხლი არ არსებობს.

— ქართულ საგუშაგოზე ზომაზე მეტი სიფრთხილით მოხდა ჩხრეკა სამარშრუტო ტაქსიში. საგუშაგოზე წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, რომ პრინტერი მიმქონდა. ერთი საათი ვიყავით გაჩერებული საგუშაგოზე, ისე, რომ პასუხს ვერ გვეუბნებოდნენ,რატომ ვიყავით გაჩერებული. პოლიციის უფროსმა, რომელიც მცხეთიდან გამოიძახეს, მითხრა, რომ ტექნიკის შეტანის უფლება კანონით არ მქონდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დავუკავშირდი, რომელთაც მითხრეს, რომ მსგავსი მუხლი არ არსებობს. პოლიციის უფროსი მეუბნებოდა, ეს რა „ჟილკაა“, რატომ ჯიუტობ, იმეგობრე ჩვენთანო. მე დავუკავშირდი ევროკავშირის წარმომადგენლობას, რომლებიც ევრო მონიტორებს დაუკავშირდნენ. ასევე შოთა უტიაშვილს დავურეკე, რომლისთვისაც არ მითქვამს, ვინ ვიყავი, რადგან ჩემი ვინაობა ყველას აღიზიანებს. მოგვიანებით თამარ ხიდაშელმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა მითხრა, რომ მისთვის შოთა უტიაშვილს უთქვამს, რომ არ არის დარწმუნებული, რომ მე ამ მონიტორს ოკუპანტებს არ გამოვაყენებინებ. ეს პასუხი ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. მე უკან, თბილისში მომიწია დაბრუნება, — აცხადებს თამარ მეარაყიშვილი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ევროკავშირის წარმომადგენლობა, როგორც მეარაყიშვილი აცხადებს, წერილს ამზადებს, სადაც წარმომადგენლობა დაადასტურებს, რომ მათი შეძენილი იყო პრინტერი.

შარშან ზამთარი ახალგორში 200 ბავშვმა გაატარა. წელს ეს მაჩვენებელი საგრძნობლად არის შემცირებული, 80 ბავშვი იმყოფება ამ დროისთვის ახალგორში.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ახალგორელებს აწუხებთ, უშუქობაა. შუქის გარეშე ახალგორში მყოფი ქართველი მოსახლეობა არაერთგზის დარჩენილა. როგორც ისინი აცხადებენ, შუქის პრობლემა მათ ქართული მხრიდან ექმნებათ, რასაც უკვე სისტემატიური ხასიათი აქვს.

— პოლიტიკა არის განსასაზღვრი, რა გვჭირდება. უნდა დაბრუნდნენ თუ არა ქართველები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საიდანაც უფრო მეტი შანსი იქნება ტერიტორიების დაბრუნების თუ საბოლოოდ გაფორმდეს, რომ იქ აღარაფერი აღარ არსებობს, რაც დამერწმუნეთ, ტერიტორიების დაბრუნებას უფრო გააძნელებს. დღეს დაბა ახალგორში დაახლოებით 20-30 ბავშვი იქნება დარჩენილი, რაც კატასტროფაა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანებს ადგილზე შეექმნათ არსებობის საშუალება. იმ შემთხვევაში თუ მათ ხელს შეუშლის ოსური ადმინისტრაცია, სწორედ განგაში უნდა ავტეხოთ. როდესაც ახალგორიდან ბავშვები თბილისში აპირებდნენ ჩამოსვლას, მაგრამ ოსურმა ადამინისტრაციამ არ გამოუშვა, სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. ძალიან სამართლიანად და სწორად დაიგმო ეს ფაქტი. იგივე უნდა გავაკეთოთ, როდესაც ბავშვებთან მისატან პრინტერს არ ატანენ. შარშან იყო მცდელობა, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს შესთავაზეს, რომ მოსკოვში წასულიყვნენ და კარგ პირობებს შეუქმნიდნენ, მაგრამ ამაზე არ წასულან ბავშვები, თბილისში ჩამოვიდნენ, თანაც თავიანთი დაფინანსებით. დღეს ამ ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან ხელი ეშლებათ. ორი კვირაა დენი არა აქვთ. როდესაც სახალხო დამცველი ვიყავი, არაერთი წერილი მაქვს გაგზავნილი ხელისუფლებისთვის, რომ გაზის პრობლემა მოგვარებულიყო ახალგორში. თუმცა, ეს პრობლემა ისევ მოუგვარებელია, — განაცხადა პრესკონფერენციაზე სოზარ სუბარმა.

# „ხელები შორს პატრიარქისგან!“

ნონა ცაბა ე

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, რა პოლიტიკური ამბიციებიც არ უნდა იყოს საქართველოში, ქვეყანა ვითარდება. საქართველო იქნება ისეთი, როგორზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს, წარმატებული და განვითარებული. პრეზიდენტის გამოსვლების შემდეგ საზოგადოების დიდ ნაწილს რჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი საკუთარ თავს ატყუებს, რადგან ქვეყანაში რეალურად სულ სხვა სიტუაციაა. იგივეს ფიქრობს ჩვენი რესპონდენტი, პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი:

***— ბატონო რამაზ, რამდენად წარმატებული და განვითარებულია დღეს ჩვენი ქვეყანა, როგორც ამას ჩვენი პრეზიდენტი აცხადებს?***

— რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა წარმატებული და განვითარებული იყოს, მაგრამ როდესაც პრეზიდენტი გამოდის და ტრაბახობს, მე რაღაც არ მახსენდება სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი რამე ხდებოდეს, რომ პრეზიდენტი გამოდიოდეს და ტრაბახობდეს, იცით, რა ქვეყანა ვართო. პირიქით, ისინი ყოველთვის კრიტიკულები არიან. მე არავისგან მსმენია ასეთი ტრაბახი. ჩვენი ეკონომიკა რომ პრაქტიკულად არ არსებობს, ხომ ვიცით ეს? რომ ენერგოსექტორი მიყიდა რუსეთს, მთელი უძრავი ქონება არაბების და თურქების ხელშია, რაღა გვრჩება და რაში ვართ წარმატებულები? ეს ყველაფერი ძალიანაც მწყინს და მინდა მართლაც წარმატებული იყოს ჩემი ქვეყანა. ყველამ იცის რა ქვეყანაა საქართველო, არშემდგარ ქვეყანას გვიწოდებენ სრულიად ოფიციალურად. არ ვიცი, თავის მოტყუება რაში სჭირდება, გამოდის, რომ თავის თავს ატყუებს — ასეთები ვართ, ამდენ წარმატებას მივაღწიეთ და მოკლედ, მაგარი პრეზიდენტი ვარო.

***— ალბათ ფიქრობს, რომ მოსახლეობას დაარწმუნებს ამ ყველაფერში...***

— მოსახლეობის 80%-ზე მეტი მშიერი რომ არის, იმას დაარწმუნებ, რომ წარმატებული ქვეყანა ვართ?! ჩვენი მოსახლეობის ლამის 1/3 გაქცეული რომაა ქვეყნიდან, იმათ დაარწმუნებ, რომ წარმატებული ქვეყანა ვართ? ვინმეს მოსწონს საზღვარგარეთ ცხოვრება? — არა მგონია. მე თვითონ ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი ძალიან მდიდარ ქვეყანაში და კარგადაც ვიყავი, მაგრამ ადამიანი ისეა დაბადებული, რომ თავისი ქვეყანა ყველაფერს ურჩევნია. ეს არის სრულიად ნორმალური, პატრიოტიზმის გრძნობა ადამიანში გენეტიკურად არის ჩადებული. იქნებ რეალობასთან დაბრუნდეს, იქნებ მეტი დაინახოს. სულ რომ ტრაბახობს და ნატო-ნატოს გაიძახის, რატომ არგვიღებენ ნატოში? შეხედოს ერთი, რომ არა გვაქვს დემოკრატია, რომ ელექტრონული მასმედია არის სასტიკი ცენზურის ქვეშ, რომ არა გვყავს დამოუკიდებელი სასამართლო, ეს ყველაფერი საზოგადოებამ კარგად იცის. ეკონომიკა რა დღეშია, უკვე ვახსენე, მეტი რაღა ვთქვა.

***— მასმედიას რაც შეეხება, გრიგოლ ვაშაძის აღიარებით განცხადებას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა...***

— დიახ, წამოსცდა მას, ხელისუფლება აფინანსებს ტელევიზიებსო. თუ ჩვენ გვინდა ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, არ შეიძლება ასეთი ცენზურის ქვეშ გყავდეს მასმედია. არამარტო ტელევიზიები, უკვე საცეცები შეყვეს ბეჭვდურ მედიაში. თუ ასე გაგრძელდა, მალე ბეჭვდური მასმედიაც აღარ გვექნება. ყველანაირად ავიწროვებენ გაზეთებს, არანაირი ხელშეწყობა არ აქვთ, საგადასახადო შეღავათები უნდა არსებობდეს, ქაღალდი იაფად შემოდიოდეს, ესენი ყველაფერს პირიქით აკეთებენ. ვიმეორებ, სიტუაცია არის ძალიან მძიმე, შეიძლება ითქვას, უმძიმესი და როგორ გადავრჩებით, მართალი გითხრათ, არ ვიცი.



***— დღეს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მისამართით მხოლოდ ლანძღვა ისმის, არადა ეკონომიკურად ამ ქვეყანაზე დიდად ვართ დამოკიდებულები...***

— რასაკვირველია, ენერგეტიკა მთლიანად მიყიდეს რუსეთს. რა არის ეს გაუთავებელი ლანძღვა, ეს არ არის სერიოზული ქცევა. ჩვენი ხელისუფლებისგან დღეს მეტს ვერაფერს გაიგებ, გარდა ლანძღვისა, ეს არის სამარცხვინო. პარლამენტარს უნდა შეეძლოს ილაპარაკოს პოლიტიკაზე, ამის მაგივრად მათი მხრიდან მხოლოდ ლანძღვა ისმის. რატომ მიყიდეს მთელი ენერგეტიკა ამ ქვეყანას, არ შეიძლებოდა დივერსიფიკაცია ყოფილიყო? ყველაფრით ჩანს, რომ ხელისუფლებაში არის ხალხი, რომელმაც არ იცის ქვეყნის მართვა. ესენი არაპროფესიონალები არიან.

***— არჩევნების წინ ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო შიდა კარუსელი. შაშკინი განათლების მინისტრად მოგვევლინა...***

— ციხიდან პირდაპირ სკოლაში გადასვეს, გასაოცარია, ეს მარტო ჩვენთან შეიძლება მოხდეს. საინტერესოა, ნიკა გვარამიას რა მოუვიდა?...

***— გვარამია, როგორც ითქვა, სასწავლებლად მიდის უცხოეთშიო...***

— სასწავლებლად? ახლა უნდა ისწავლოს? ე.ი. ჯერ მინისტრად გვეჯდა და მერე მიდის სასწავლებლად? რა კარგია! აი, მართლა ამისთანა ბედნიერი ერი ვართ.

***— გამოითქვა ვარაუდები, რომ შაშკინი მეტი წესრიგის დასამყარებლად სჭირდებათ, არჩევნები მოდის და ხმების მობილიზაციაა საჭირო...***

— არ არის გამორიცხული, რომ ასე იყოს, იმიტომ, რომ ძალიან დიდი კოლექტივია მასწავლებლების და... ერთი მხრივ, დირექტორებს და მასწავლებლებს კი ატერორებს ეს თია თუთბერიძე, მოკლედ, აღარ მინდა ამ პიროვნებაზე კომენტარი გავაკეთო, ყველამ კარგად ვიცით, რას წარმოადგენს. ახლა ცოტა უფრო ცივილიზებული კაცი მიიყვანეს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც გამოიყურება ასე და რომ შეხედავ, არ შეგეშინდება. ეტყობა საჭიროა მუშაობა მასწავლებლებთან, სკოლების დირექტორებთან. პირველი, რაც ითქვა, ის იყო, რომ ამ კაცს აქვს კომუნიკაციის უნარიო. მე ამ ფრაზას მივაქციე ყურადღება. ეტყობა, ისეთი ვინმე უნდათ, ვინც დაელაპარაკება დირექტორებს; თია თუთბერიძე, ეტყობა, სულ ლანძღავს და აგინებს სკოლის დირექტორებს, მაგან ხომ მეტი არაფერი იცის, თანაც გაუნათლებელია და ეს კაცი განათლებულს მაინც ჰგავს.

***— ბატონო რამაზ, რადგან თუთბერიძე ახსენეთ, არ შემიძლია არ გკითხოთ, საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა პატრიარქის წინააღმდეგ დაწყებულ ბინძურ კამპანიას, თქვენი აზრით, ვინ დგას ამ ჯგუფის უკან?***

— თუთბერიძის ინიციატივით რომ არ დაწყებულა, ამაში ეჭვი არავის ეპარება, ეს მოდის ან ლევან რამიშვილისგან, ან სააკაშვილისგან, ან ორივე ერთად შეთანხმებულია. სააკაშვილი ძალიან ეჭვიანია და რომ ხედავს, რომ პატრიარქს მასზე გაცილებით დიდი რეიტინგი და სტატუსი აქვს, თუ გნებავთ პატივისცემა, სიყვარული, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც სააკაშვილს არა აქვს, იბოღმება და ეჭვით სკდება. „თავისუფლების ინსტიტუტს“ კი თავისი ინტერესები აქვს, მაგათ უნდათ, რომ რელიგია საერთოდ მოსპონ, როგორც იყვნენ კომკავშირლები, ბოლშევიკები, ესენი არიან ნეობოლშევიკები. მათ უნდათ, რომ რელიგია არ იყოს, რელიგია მათ ხელს უშლის თავიანთი გეგმების განხორციელებაში. სამწუხაროა, რომ ხალხი უფრო აქტიურად არ გამოხატავს პროტესტს. „ხელები შორს პატრიარქისგან!“ — აი, ასეთი ლოზუნგით უნდა დაწყებულიყო მასობრივად გამოსვლები. ყველა უდიდეს პატივს სცემს, ყველას უყვარს, მაგრამ ამავე დროს ხალხი პასიურია რაღაცნაირად, ასეთი სისტემა შექმნეს ამათ.

***— ეშინია საზოგადოებას პოზიციის დაფიქსირების?***

— შიშზე არ არის, საზოგადოებაში ჩადეს პასიურობა. მოქალაქე უნდა იყოს ყოველთვის აქტიური, შენს პოზიციას არა მარტო უნდა გამოხატავდე, არამედ იცავდე კიდეც. ამათ სცადეს რაღაც დამთრგუნველი ელემენტები ხალხში. ვიმეორებ, ეკონომიკურად ისეთი საშინელი სიტუაციაა, რომ შეიძლება სულ ამოვწყდეთ ყველანი. პოზიციის შიში კი არ არის, შიშია ეკონომიკური მდგომარეობისადმი.

***— ითქვა, რომ თავად მისი უწმინდესობის პოზიცია იყო, რომ არ გაშლილიყო პროცესი...***

— რა თქმა უნდა, ის ისეთი სათნო ადამიანია, რომ მას არ უნდა მის გამო ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, ეს გასაგებია, რომ არ უნდა, მაგრამ ჩვენც უფრო მეტი მოქალაქეობრივი შეგნება უნდა გვქონდეს, ხალხს თავისი სათქმელი უნდა ეთქვა. სამარცხვინო ბოძთან უნდა იყვნენ დაყენებული ისინი, ვინც ბედავს და ებრძვის პატრიარქს. მაშინ რაღა გვრჩება? სააკაშვილის აშენებული ეკონომიკა დაგვრჩება თუ ყველაზე მაღალი სასტუმრო შავ ზღვაზე?! ამას თურქები აშენებენ ისევ თავისთვის. დაარიგა სააკაშვილმა ყველაფერი, თითქოს ბაბუამისის ქონება იყო. ბათუმი თურქებს მისცა, აფხაზეთი თავისი კოდორით გააჩუქა, ახალგორი გააჩუქა, ახლა სომხებსაც რაღაცეებს პირდება და მოკლედ, რა ენაღვლება, არიგებს და არიგებს. რა გინდა ქნა ასეთ დროს, მერე დარბის კიდევ არაბ შეიხებთან და ეუბნება, რაც დამრჩა, ბარემ ესეც იყიდეთო. არ გახმაურებულა, რისთვის დადის იქ, ფაქტია, რომ დუბაი გაკოტრდა და სწორედ იმ დროს ჩადის იქ. ეტყობა, რაღაც შეთანხმებები ჰქონდა და შეეშინდა, საქმე არ გაფუჭებოდა. რაღაცეების დაფარვა უნდა, რადგან ბევრი რამ არ გახმაურებულა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,**
**თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი 95-25-89**
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მედვედევს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმება მოუნდა

თეა მარხვაი ე

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გუშინ საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. რუსეთის პირველი პირი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ალაპარაკდა. საქართველოს რუსეთმა სავიზო რეჟიმი დაახლოებით ათი წლის წინ დაუწესა.**

საქართველო დსთ-ს რესპუბლიკებიდან ერთადერთი იყო, ვისთანაც მოსკოვმა სავიზო რეჟიმი დააწესა. ეს ამბავი საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ გააპროტესტა. უვიზო მიმოსვლის შესანარჩუნებლად ჩვენებურები მაშინ დსთ-დან გამოსვლითაც კი დაიმუქრნენ.

რუსებს ამის გამო გადაწყვეტილება არ შეცვლიათ. სავიზო რეჟიმი დაგვიწესეს, დსთ კი ამ ამბიდან 8 წლის თავზე დავტოვეთ.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა. ბოროტი ხმები კი ამტკიცებენ, რომ ჩვენი ხელისუფლება კრემლთან ფარულ მოლაპარაკებებს მართავს.

ბოლო ხანებში ჩვენებურებმა რუსების ლანძღვას აშკარად უკლეს. ამ ცოტა ხნის წინ ისიც გვაუწყეს, რომ თურმე პუტინს პრიმაკოვის დაბადების დღეზე საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობებზე უსაუბრია.

თვალშისაცემია ისიც, რომ ოპოზიციას რუსეთთან კავშირში აღარ სდებენ ბრალს. ზურაბ ნოღაიდელი ორჯერ ზედიზედ ჩავიდა მოსკოვში. ამის გამო სკანდალი არავის აუტეხია. გოგა ხაინდრავას თუ დავუჯერებთ, ნოღაიდელი მოსკოვში თავად სააკაშვილმა მიავლინა. ნოღაიდელი კი ამტკიცებს, რომ სააკაშვილი მოსკოვში სხვა ემისრებს აგზავნის.

ამას ნაციონალები სისულელედ მიიჩნევენ. რა არის სიმართლე და რა არა, ამის გამოცნობა ქართულ პოლიტიკაში ძალიან ძნელია. რუსეთთან მიმართებაში რაღაცები რომ ხდება, ამას ყველა ამჩნევს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ლარსის გახსნაზე არ დათანხმდებოდა.

თბილისი და მოსკოვი რომ რაღაცას აპირებენ, ეს გუშინ რუსეთის პრეზიდენტის განცხადებიდანაც გამოჩნდა. მართალია მედვედევმა სააკაშვილი გაგვიკრიტიკა, მაგრამ საქართველოსთან ჩახუტების სურვილი გამოთქვა.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, გუშინ მედვედევმა განაცხადა, რომ დადგება დრო, როცა რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი გაუქმდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს განცხადება მედვედევმა ევროპისა და აზიის მედიასაშუალებების ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა.

— ჩვენ ამჟამად ევროკავშირთან უვიზო სივრცის მიმართულებით ვმოძრაობთ. იმედი მაქვს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. ვიმედოვნებ, ასეთი დრო საქართველოსა და რუსეთისთვისაც დადგება, — აღნიშნა მედვედევმა.

თავის გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტმა ბოლოდროინდელ მოვლენებს გვერდი ვერ აუარა. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს და რუსეთს შორის დამოკიდებულება გართულდა. ამაში რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა.

— არაერთხელ მითქვამს, რომ მოქმედ პრეზიდენტთან და ზოგ ხელმძღვანელთან კონტაქტს არ ვგეგმავ. ჩვენი გზები გაიყო და მოვლენების ჩვენი შეფასებები ძალიან განსხვავებულია. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ეკისრება პირდაპირი იურიდიული პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სხვა ურთიერთობა მომავლისთვის უნდა გადავდოთ. ჩვენ ხალხებს შორის საუკუნოვანი მეგობრობა და განსაკუთრებული ისტორიაა, — განაცხადა მედვედევმა.

როგორც ჩანს, მედვედევი ამ ისტორიიდან გამომდინარე იქცეოდა, როცა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე აწერდა ხელს.

მედვედევის გამოსვლას ქართველი პოლიტიკოსები ირონიით შეხვდნენ. მათი განცხადებით საქართველო რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას ერთი პირობით დათანხმდება. ეს ერთი პირობა კი აღიარების უკან წაღებაა.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების გაუქმებას რუსებს დასავლეთიც სთხოვს. რუსები კი ამაზე უარს ამბობენ. და რაკი ასეა, ჩვენებურები მათთან ურთიერთობას აღარ აპირებენ.

თუმცა, როგორც ოპოზიცია ამბობს, ეს მხოლოდ განცხადებაა. ისე ხელისუფლება რუსეთთან თურმე ჩუმ-ჩუმად აწარმოებს დიალოგს. ამ ფრონტზე რაღაცები რომ ძალიან საეჭვოა, ამაზე ლარსის გახსნაც ნათლად მეტყველებს.

# თბილისის მერობა ალექსანდრე ებრალიძესაც შეუძლია

ნანა მიშელაშვილი

## „ქრისტიან-დემოკრატები“ თავიანთ რჩეულს თვის ბოლოს გაამხელენ

თბილისის მერის პოსტთან დაკავშირებით ცვლილებები მზადდება. ამ ცვლილებების მიღების შემთხვევაში დედაქალაქის მერობა ისეთ ადამიანებსაც შეეძლებათ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობენ.

მათ რიცხვში შედის ალექსანდრე ებრალიძე და გიორგი ჭანტურია, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე საქართველოში არ ცხოვრობენ. მართალია დედაქალაქის მერობის სურვილი ოფიციალურად ჯერ არც ერთს არ გამოუთქვამს და არც მეორეს, მაგრამ თუკი ამის სურვილი გაუჩნდებათ, კანონი აღარ შეზღუდავთ.

დედაქალაქის მერის სავარძელს ბევრი მოიაზრებს, როგორც მომავალში პრეზიდენტის ალტერნატივას. საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი ალექსანდრე ებრალიძემ უკვე გამოთქვა. თუ მერის პოსტი პრეზიდენტობისკენ მიმავალი ტრამპლინია, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ებრალიძეს დედაქალაქის მერობაც მოუნდეს.

პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრა ალექსანდრე ებრალიძეს ახლა არ შეუძლია. მას კონსტიტუცია ზღუდავს. ალექსანდრე ებრალიძე საქართველოში ბოლო 10 წლის მანძილზე არ ცხოვრობდა. არადა, კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი საქართველოში ბოლო 10 წელი უნდა ცხოვრობდეს.

სხვათა შორის, თავის დროზე, ამ შეზღუდვის გამო პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრა არ შეეძლო სალომე ზურაბიშვილს. მას საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ უცხოვრია.

პრეზიდენტთან დაკავშირებით ასეთი შეზღუდვა არსებობს, თუმცა, ასეთი შეზღუდვა აღარ იარსებებს დედაქალაქის მერთან დაკავშირებით. „თბილისის შესახებ“ კანონპროექტში, რომელიც ჯერ არ არის პარლამენტში განხილული, წერია, თუ ვის შეუძლია მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. პროექტის თანახმად, თბილისის მერად შეიძლება არჩეული იქნას საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

ასეთი სახით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დადაქალაქის მერად კანდიდატურის დასახელების უფლება ბევრს ექნება. კერძოდ მათ, ვინც ბოლო წლები საქართველოში არ ცხოვრობს.

არადა, „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების თანახმად, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, სხვა ჩანაწერია. „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებით თბილისის მერად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულოს აღრიცხვაზე.

ამ ნორმის გამო გაჩნდა ეჭვი, რომ ეს იყო საგანგებოდ გათვალისწინებული შემთხვევა თუკი ისეთი ადამიანი მოინდომებდა კენჭისყრას, ვინც ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობს.

რამდენიმე ხანია საუბარი მიდის იმაზე, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ აპირებენ გია ჭანტურია დაასახელონ თბილისის მერად. ეს ნორმა კი „ქრისტიან-დემოკრატებს“ ხელს უშლიდა გია ჭანტურიას დასახელებაში. თუკი დედაქალაქის შესახებ კანონში ახალი ჩანაწერი გაჩნდება, „ქრისტიან-დემოკრატებს“ გია ჭანტურიას მერის პოსტზე დასახელება შეეძლებათ.

გია ჭანტურია ბოლო 2 წელი საქართველოში არ ცხოვრობდა. ის დღემდე აზერბაიჯანში საქმიანობს. ამბობენ, რომ გია ჭანტურია საქართველოში ჩამოსვლას დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში აპირებს. სწორედ ამ დროს გამოჩნდება, დაასახელებენ თუ არა „ქრისტიან-დემოკრატები“ მას მერობის კანდიდატად.

ცნობილია, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ გია ჭანტურიასთან მოლაპარაკებას ბოლო თვეების მანძილზე აქტიურად აწარმოებდნენ. ეს მოლაპარაკება თითქმის უკვე დასრულებულია და „ქრისტიან-დემოკრატების“ კანდიდატურაც ნაახალწლევს დასახელებული იქნება.

ამის უფლებას „ქრისტიან-დემოკრატებს“ დედაქალაქის შესახებ კანონში ახალი ცვლილება მისცემს. ამ ცვლილებას ოპოზიციის დანარჩენი ნაწილი მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ ხვდება.

თუ „დედაქალაქის შესახებ“ კანონპროექტში ეს ჩანაწერი დარჩა, რომ დედაქალაქის მერად შესაძლებელია არჩეულ იქნას მოქალაქე, რომელსაც 10 წელი მაინც უცხოვრია საქართველოში, მაშინ ბევრისთვის შეზღუდვა იხსნება. ეს იმას ნიშნავს, რომ მერად კენჭისყრა შეუძლია ნებისმიერ იმ ადამიანს, ვისაც საქართველოში 10 წელი როდესმე უცხოვრია.

ასეთი ჩანაწერის გაჩენას საპარლამენტო ოპოზიციის ცალკეული წევრი არ ეთანხმება. მათი აზრით, დედაქალაქის მერობის კანდიდატი ბოლო 10 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს საქართველოში.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ თუ ადამიანი 10 წელი საქართველოში ცხოვრობდა, მერე საზღვარგარეთ წავიდა და ახლა იქ ცხოვრობს, მიზანშეწონილი არ იქნება ასეთი ადამიანი გახდეს თბილისის მერი.

— თუ თბილისში არ ცხოვრობ ბოლო პერიოდი მაინც, თუ თბილისში არ გაიზარდე, არ ჩამოყალიბდი, თუ შენი ქალაქის მაჯისცემას და ტკივილს არ გრძნობ, ასეთ შემთხვევაში არჩეული მერი სწორად ვერ გაუძღვება თბილისს, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ უმჯობესია კანონში ჩაიწეროს, რომ ბოლო 10 წელი უნდა ცხოვრობდეს მერობის კანდიდატი საქართველოში.

ბაღათურიას თქმით, 10 წლის ბავშვი თუ წავიდა საზღვარგარეთ, მისი ფსიქიკის ფორმირება საზღვარგარეთ მოხდება, ის გენეტიკურად და მენტალურად ქართველია, მაგრამ ქალაქის მაჯისცემას მოწყვეტილი იქნება.

— მიმაჩნია, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ბოლო წლები თბილისში უნდა ცხოვრობდეს და არა სამტრედიაში, ზუგდიდში ან ბათუმში. შენ თუ მერად არჩევის შემდეგ დაიწყე გარკვევა, რითი სუნთქავს შენი ქალაქი, ბევრს დაკარგავ. შენი ქალაქის ერთიანი ორგანიზმი უნდა იყო, — ასეთია ბაღათურიას პოზიცია.

დედაქალაქის მერობის მსურველთა რიცხვი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. თბილისის მერის პოსტი მიმზიდველი და თანაც პრესტიჟული რომ არის, ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ყოფილმა პოლიტიკურმა პარტნიორებმა ერთმანეთს კანდიდატურებიც კი დაუყენეს.



ოპოზიციის ნაწილი ერთმანეთთან მერის ასარჩევ ბარიერთან დაკავშირებითაც აწარმოებდა კონსულტაცებს. მართალია ალასანიას ალიანსს ბევრი არწმუნებდა, რომ 50%-იანი ბარიერის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ, ალასანია მარტო დარჩა ამ მოთხოვნაში.

საპარლამენტო ოპოზიციამ მთელი შემადგენლობით თბილისის მერის არჩევისას 30%-იან ბარიერს დაუჭირა მხარი. ალასანიას ალიანსმა მართალია ამ თემაზე საკმაოდ ბევრი იხმაურა, მაგრამ პარლამენტმა პირველი მოსმენით მაინც 30%-იან ბარიერს დაუჭირა მხარი.

ალასანიას ალიანსი 30%-იანი ბარიერის ასაწევად მაინც იბრძვის, თუმცა, ეს ფაქტიურად შეუძლებელია. ხელისუფლების ცალკეული წევრები ამბობენ, რომ ბარიერი არ გაიზრდება და დედაქალაქის მერი 30%-იანი ბარიერით იქნება არჩეული.

იმასაც ამბობენ, რომ მმართველმა პარტიამ სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგებიც ნაციონალებისთვის მისაღებია, ანუ 30%-იანი ბარიერი მათ აწყობთ.

რაც შეეხება ოპოზიციას, უკვე დასახელებული ოპოზიციური კანდიდატები ერთმანეთს ხმებს მეტ-ნაკლები ოდენობით გაუყოფენ. სანამ ოპოზიცია ერთმანეთისთვის ხმების გაყოფით იქნება დაკავებული, გამარჯვება იმ კანდიდატს დარჩება, ვინც დედაქალაქის ამომრჩევლების 30%-ს მაინც მიიღებს.

ოპოზიციურ კანდიდატებს წლის დასასრულამდე ერთი ან ორი კანდიდატი კიდევ შეემატება. თბილისის მერის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს ნოღაიდელის პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“. სავარაუდოდ, ეს კანდიდატი ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და რუსეთში ყოფილი ელჩი ვაჟა ლორთქიფანიძე იქნება.

მერის პოსტზე ამჯერად დასახელებულია ოპოზიციური ოთხეული: ირაკლი ალასანია, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და დავით იაკობიძე. მმართველ პარტიას მართალია ჯერ ოფიციალური წარდგინება არ გაუკეთებია, მაგრამ უკვე ღიად ითქვა, რომ მერობის კანდიდატი გიგი უგულავა იქნება. ამაში ეჭვი არც არავის ეპარებოდა. უგულავას საარჩევნო კამპანია კარგა ხნის წინ აქვს დაწყებული, რისი მაჩვენებელიც არის მისი ყოველდღიური აქტიურობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ის ადამიანებიც ჩამოვლენ, რომლებიც ახლა აქ არ ცხოვრობენ და მერობის სურვილი აქვთ. ეს არ ეხება იმ ადამიანებს, ვინც ძებნილია.

წითელი ცირკულარით ძებნილ ადამიანებს თბილისის მერის პოსტის დაკავება არ შეუძლიათ. ინტერპოლის ან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ძებნილი ადამიანები მერის პოსტის დაკავების სურვილს ალბათ არ გამოთქვამენ და რომც გამოთქვან, ამ უფლებას ვერ მიიღებენ.

# ლარსის გახსნა საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიგა ბოკერიას განცხადებით, ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნა საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნის.

როგორც მთავრობის სხდომიდან გამოსულმა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ლარსის გახსნის საკითხი ახალი არ არის და თუ არ შეიქმნა რაიმე პრობლემა, პუნქტის გახსნა მოსალოდნელია.

ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით მორიგი სამმხრივი შეხვედრა ერევანში სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

პირველი

# აფხაზეთიდან დევნილი ყველა ოჯახი საცხოვრებელი ფართით იქნება უზრუნველყოფილი

2011 წლის ბოლომდე აფხაზეთიდან დევნილი ყველა ოჯახი საცხოვრებელი ფართით იქნება უზრუნველყოფილი.

ამის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა მთავრობს სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

მისი თქმით, პრეზიდენტის დავალებით, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება და გარემონტება უკვე დაიწყო და ამ დროისთვის საცხოვრებელი ფართი უკვე 15 ათას ოჯახს დაუკანონდა.

— თუკი ამ ტემპით გავაგრძელებთ მუშაობას, 2011 წლის ბოლომდე აფხაზეთიდან დევნილი ყველა მოქალაქე საცხოვრებელი ფართით იქნება უზრუნველყოფილი და აფხაზეთში დაბრუნებამდე ისინი ღირსეულად იცხოვრებენ, — განაცხადა სუბელიანმა.

პირველი

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30–30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30–30 და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# გიბრალტარის განაჩენი — გუდავაძის სამართალი თუ ბერეზოვსკის შეკვეთა



ქართული საზოგადოება მალე, შესაძლოა, ახალი სკანდალის მოწმე გახდეს. ყოველ შემთხვევაში, „ფაქტნიუსის" ინფორმირებული წყაროები იუწყებიან, რომ აწ გარდაცვლილი ოლიგარქის, ბადრი პატარკაციშვილის, ქონებრივი დავის შესახებ ახალი, დღემდე უცნობი დეტალები გამოაშკარავდება. ამასთან, „ფაქტნიუსისთვის" ცნობილი ხდება, რომ ქეის საკუთარ მრჩევლებთან გარკვეული უთანხმოება აქვს. „ფაქტნიუსი" რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ქეის ქართველ წარმომადგენელთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. შესაბამისად, ინფორმაცია კულუარული, თუმცა როგორც წყარო ამბობს, უტყუარია.

მაშ ასე, „ფაქტნიუსი" პატარკაციშვილის ე.წ. ქონებრივი საქმის უცნობ დეტალებს წარმოგიდგენთ.

• • •

კარგად ინფორმირებული წყაროს მონაცემებით, ჯოზეფ ქეის მრჩეველთა ნაწილი გიბრალტარის სასამართლო პროცესში ქეის მონაწილეობას შეცდომად მიიჩნევს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან, ექსპერტთა მტკიცებით, გიბრალტარი მსოფლიოს „შავი ხვრელია". ამასთან, მართალია, გიბრალტარში ქეის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი პატარკაციშვილის ქვრივმა, ინა გუდავაძემ წამოიწყო, მაგრამ კულუარებში არავინ მალავს, რომ ყველაფრის უკან, არც მეტი, არც ნაკლები, სკანდალურად ცნობილი, არცთუ სუფთა წარსულის ებრაული წარმოშობის რუსი ოლიგარქი, ბორის ბერეზოვსკი დგას.



ამასთან, ცნობილია, რომ გიბრალტარის, რომელიც გაურკვეველი სახელმწიფო წარმონაქმნია, საყრდენი წერტილი ე.წ. ოფშორული ანგარიშებია. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ გიბრალტარის სასამართლოთი „სამართლიანობის აღდგენას", როგორც წესი, ოლიგარქები ცდილობენ. მაგალითად, ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩის, უსმანოვის, დერიპასკას და სხვა ოლიგარქების წინააღმდეგ საქმე სწორედ გიბრალტარის სასამართლოში აღძრა.

ნიშანდობლივია, რომ ბერეზოვსკის პოლიტიკური თავშესაფარი დიდმა ბრიტანეთმა მისცა. გიბრალტარი კი სწორედ ინგლისის, ასე ვთქვათ, ქვეშევრდომია, ანუ ამ გაურკვეველ სახელმწიფო წარმონაქმნზე ფორმალურად ბრიტანული იურისდიქცია ვრცელდება.

— გიბრალტარსა და მის სასამართლოზე ბორის აბრამოვიჩს წარმოუდგენლად დიდი გავლენა აქვს. ეს კი არადა, ბერეზოვსკის აქტივების უზარმაზარი ნაწილი სწორედ გიბრალტარზეა განთავსებული, — ამბობს „ფაქტნიუსის" ინფორმატორი.

დაუშვა თუ არა ჯოზეფ ქეიმ საბედისწერო შეცდომა, როცა პატარკაციშვილის ქვრივის მიერ გიბრალტარში ინიცირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა გადაწყვიტა? იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც „ფაქტნიუსისთვის" გახდა ცნობილი, გიბრალტარის სასამართლოში გარდაცვლილი ოლიგარქის ანდერძთან დაკავშირებული დავა კი არა, ქეის აქტივების საკითხი განიხილებოდა (საუბარია იმ აქტივებზე, რომელთაც ქეი ე.წ. ტრასტის მეშვეობით მართავდა). თურმე, სწორედ ამიტომ მიიჩნევს ქეის მრჩეველთა ნაწილი გიბრალტარის სასამართოში მონაწილეობას შეცდომად.

„ყველაფერი ეს ბერეზოვსკი სტრატეგიაა, — ამბობს წყარო, — ბორის აბრამოვიჩი ქვრივის, ინა გუდავაძის, მეშვეობით ცდილობს, ქეის ფინანსური დარტყმა მიაყენოს და, ამასთან, შექმნას პრეცედენტი, აი, პატარკაციშვილის ოჯახმა სასამართლო მოიგოო. ამას კი დიდი პიარ-კამპანია მოჰყვება."

თუ წყარის დავუჯერებთ, ბერეზოვსკის სტრატეგია ქეის მრჩევლებმა მალევე გაშიფრეს და სწორედ ამიტომ, ქეი ინგლისში მიმდინარე სასამარლო პროცესში არ მონაწილეობს. ამასთან, „ფაქტნიუსის" მონაცემებით, ინგლისში მიმდინარე სასამართლო პროცესი პატარკაციშვილის ქვრივის კი არა, უშუალოდ, ძებნილი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკი მიერაა ინიცირებული.

„ინგლისის სასამართლოში ბერეზოვსკის მოპასუხე მხარეებად წარდგენილნი არიან, ერთი მხრივ, გუდავაძე და, მეორე მხრივ, ჯოზეფ ქეი და ბადრი პატარკაციშვილის ვაჟი, დავით პატარკაციშვილი," — ამბობს წყარო.

ასეა თუ ისე, ნათლად ჩანს, რომ გიბრალტარის სასამართლოსგან განსხვავებით, ინგლისის სასამართლოში როლები შეიცვალა, ანუ პატარკაციშვილის ქონების მემკვიდრეზე იერიში ქვრივს კი არა, ბერეზოვსკის მიაქვს. თუ წყაროს დავუჯერებთ, ბერეზოვსკი-გუდავაძის ტანდემის ამ სტრატეგიის მიზანი მარტივია: გუდავაძის მხრიდან ზემოხსენებული ნაბიჯის გადადგმა ნათლად გამოაჩენდა მის ძირითად სამიზნეს ჯოზეფ ქეისთან დავაში, ანუ გამოდის, რომ ქვრივის მთავარი მეტოქე ქეი კი არა, ბადრი პატარკაციშვილის ვაჟია.

უთანხმოება მხოლოდ ჯოზეფ ქეის გარემოცვაში კი არა, როგროც წყარო ამბობს, ინა გუიდავაძის ე.წ. სააზროვნო შტაბშიც შეინიშნება. აქ კი „უთანხმოების ვაშლი" რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გახდა, ანუ გუდავაძის იურიდიული მრჩევლების ნაწილი Thames Steel-ის დირექტორად თომას ბლეიკის დანიშვნასა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან არსებულ დავაში მის ჩართვას სერიოზულ შეცდომად მიიჩნევს.

„ბლეიკმა, რომელიც ბერეზოვსკის პაიკია, საკუთარი თამაში წამოიწყო და, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყო მეტალურგიული კომბინატის აქტივების გადასვლას გენარლოვისა და აბრამოვიჩის ხელში (იდუმალებით მოცული „კოლხი ჯგუფის" მფლობელებად სწორედ ეს ორი მაგნატი სახელდება). ეს ჯგუფი სწორედ ბლეიკის აქტიურობის წყალობით დაეპატრონა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს," — ამბობს წყარო.

## ვინ არის ბლეიკი — თაღლითი თუ შანტაჟისტი?

უცნაურია, ადამიანმა 70-მილიონიანი ინვესტიცია ჩადო კომპანიაში, რომელიც არ იცის, ვისი საკუთრება. ამასთან, მისტერ ბლეიკმა ზუსტად არ იცის, ვისგან იყიდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აქტივები, ვერ ახდენს იმ ხელშეკრულების დემონსტრირებას, რომლის საფუძველზეც აცხადებს თავს „ქართული ფოლადის" მეპატრონედ. მიუხედავად ამისა, მისტერ ბლეიკი მიდის რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაციულ შენობაში და ითხოვს, რომ გენდირექტორის სავარძელი დაუთმონ. ამას სამედიცინო ენაზე, ალბათ, თავისი სახელი ჰქვია.

სხვათა შორის, თომას ბლეიკმა რამდენიმე ხნის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ხელისუფლებას, პრინციპში, შანტაჟში დასდო ბრალი და განაცხადა, რომ ის პრობლემები, რომლებიც „Thames Steel UK Limited"-ს საქართველოში შეექმნა, ხელს შეუშლის ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას.

ნოემბრის ბოლოს, ბრიტანულმა "THE WALL STREET JOURNAL"-მა მეტალურგიული ქარხნის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია:

„ომის შედეგად დაზარალებული ეკონომიკისა და გლობალური კრიზისის ფონზე, საქართველოს მთავრობა მონდომებული იყო, მოეზიდა ინვესტიციები. ქვეყნის აქტიური მუშაობის შედეგად, შეიქმნა ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემო. მაგალითად, დაბალი კორპორაციული გადასახადები. ამან ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების ზრდას 2 მილიარდ დოლარამდე 2007 წელს, ეს მაჩვენებელი 2003 წელს 336 მილიონს შეადგენდა. ბრიტანული ნავთობკომპანია ქვეყანაში ერთ-ერთი ინვესტორია.

მაშასადამე, გამოდის, რომ მისტერ ბლეიკს საკუთარ სამშობლოშიც არ უსმენენ. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, საქმე ჩვენს, ქართულ ეკონომიკას ეხება და ვინმე ბლეიკის სიტყვების ტირაჟირებას რატომ ვახდენთ?



ახლა კი, ისევ გარდაცვლილი ოლიგარქის ქონებას დავუბრუნდეთ. ინა გუდავაძის მრჩევლების ნაწილი, თურმე, იმითაც არის უკმაყოფილო, რომ გიბრალტარის სასამართლოს განაჩენი ამ დრომდე არ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ როცა გიბრალტარში სასამართლო მიმდინარეობდა, ბერეზოვსკი საიდუმლო ვითარებაში, საქართველოში ჩამოდის და ნაციონალურ ხელისუფლებასთან, როგორც ამბობენ, ფლირტს იწყებს. ბერეზოვსკის თბილისში ვიზიტი ცალკეულმა ექსპერტებმა მორიგ ავანტიურად მონათლეს. პარალელურად, გაჩნდა ეჭვი, რომ ოლიგარქმა ქვრივი საქართველოს ხელისუფლებაზე გაცვალა. ალბათ, სწორედ ამიტომ, გუდავაძის ზოგიერთი მრჩეველი, მაგალითად, გია ხუხაშვილი, რომელიც, როგორც ბოროტიენები ამბობენ, ქვრივის კარზე გავლენის მოპოვებას ცდილობს, მიიჩნევს, რომ ბერეზოსკისგან სრული დისტანცირება უნდა მოხდეს და მისგან, ჯოზეფ ქეისთან ერთად, მტრის ხატი შეიქმნას, ანუ საინფორმაციო-საზოგადოებრიოვი სტრატეგია, დაახლოებით, თურმე, ასეთია: ბერეზოვსკი და ქეი უმწეო ქალებს ჩაგრავენ.

კულუარებიდან გამოჟონილი ხმის თანახმად, სწორედ ბატონი გია ხუხაშვილია ისეთი მესიჯების ავტორი, როგორიცაა: „დაჩაგრული ქვრივი და შაოსანი ქალები", „ჯოზეფ ქეი — მოროდიორი". თუმცა, საგულისხმოა, რომ პატარკაციშვილის ოჯახს ხუხაშვილის მესიჯები, თურმე, არ მოსწონს და ამას, სხვა თუ არაფერი, „კავკასიის" ეთერში ქალბატონ მზია თორთლაძის მიერ გაკეთებული განცხადებაც მოწმობს: „ბორიამ გარკვეული მინიშნებები გააკეთა ოჯახის მიმართ".

ერთი სიტყვით, დასავლური მედიის მიერ „საუკუნის პროცესად" სახელდებული პროცესი გრძელდება. არავინ იცის, როდის დასრულდება.

**მამუკა კიკნა ე**

# ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება მოუწევს

**შორენა კოწოწაშვილი**

## ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის წევრ ლაშა ჩხარტიშვილთან

***— ბატონო ლაშა, რადგან ხელისუფლებამ ფაქტობრივად სასურველი საარჩევნო გარემო შეინარჩუნა, ოპოზიციას ხელისუფლების თამაშის თამაში მოუწევს?***

— ჩვენ სააკაშვილის თამაში არ უნდა ვითამაშოთ. რეალური ამოცანა არჩევნებში მონაწილეობისა უნდა იყოს საქართველოს სააკაშვილისაგან განთავისუფლებისკენ სვლა. ეს უნდა გამოიხატოს თბილისის სააკაშვილისგან განთავისუფლებაში. ამის ერთადერთი საშუალება რეალურად არის ერთიანობა. სხვა შემთხვევაში წარმატების მიღწევა იქნება ძალიან რთული და შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც. ერთიანობის გარეშე სააკაშვილის მსგავსი ავტორიტარული რეჟიმის დამარცხება, რომელიც მზად არის ყველანაირი ბინძური მეთოდები გამოიყენოს არჩევნების გასაყალბებლად და მოსაგებად, არის შეუძლებელი. ერთიანობის ყველაზე სამართლიან ფორმად ჩვენ მიგვაჩნია ხალხის თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. საამისოდ ჩვენ გვაქვს წინასწარი ოპოზიციური არჩევნების იდეა, რომელსაც პრაიმერს უწოდებენ. მისი მთავარი ამოცანა ზუსტად ის არის, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობით იქნეს შერჩეული ოპტიმალური შემადგენლობა ოპოზიციური კანდიდატებისა. იქნება ეს ქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მაჟორიტარი



დეპუტატები თუ სხვ. მართლაც ასეთი ერთიანი ფორმით და ერთიანი შემადგენლობით ვიბრძოლოთ ჩვენ პირველ ეტაპზე, თბილისის სააკაშვილისგან განთავისუფლებაზე, ხოლო შემდგომში უკვე საქართველოს ერთმმართველობისაგან დასახსნელად.

***— ის ფაქტი, რომ ოპოზიცია არ არის ერთიანი და მნიშვნელოვან საკითხებზეც ვერ ხერხდება პოზიციების შეჯერება, ხელისუფლების დამსახურებაცაა?***

— ვფიქრობ, ჩვენ ერთიანობა უნდა გამოვხატოთ როგორც არჩევნებში, მეორე მხრივ, საპროტესტო აქციების წინ, რომელიც იქნება. იქნება თემატური აქციები თუ ერთიანი გამოსვლა არჩევნებისას, აი, აქ გამოჩნდება საბოლოო ჯამში, რამდენად შეუძლია ყველა ოპოზიციურ ჯგუფს ძირითად ამოცანად ერთიანობის დასახვა. იცით, რომ ეს აქციების დროს შედარებით უფრო მარტივად ხდება. რაც შეეხება ქალაქის საკრებულოს არჩევნებს, იქ უნდა დაამტკიცოს ყველა მსხვილმა და რეალურად ოპოზიციურმა ძალამ, რომ მათ აქვთ უნარი ოპოზიციამ ერთიანად იმოქმედოს. ჩვენი მხრივ, ეს შეთავაზება გაკეთებულია. დრო ჯერ კიდევ არის. იმედია, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც, ვინც ჯერ არ შემოერთებია ამ იდეას, გაითვალისწინებენ, რომ ერთადერთი გზა მართლაც ერთიანობაა და ერთიანობით არის შესაძლებელი გამარჯვება სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმზე.

***— თქვენი აზრით, ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებს ძალიან სერიოზულად ეკიდება, თუ არც ისე?***

— მე ვფიქრობ, რომ რეალურად ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები ეკიდებიან მართლაც და უნდა მოეკიდონ სერიოზულად, ვინაიდან შეიძლება ეს იყოს პირველი ნაბიჯი სააკაშვილის რეჟიმის დასამარცხებლად. არსებობს ორი პოზიცია: ბოიკოტის პოზიცია და არჩევნებში მონაწილეობის პოზიცია. ორივეს აქვს თავისი ადგილი. ვინც არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმდება, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ არჩევნებში გამარჯვების მხოლოდ ერთი გზა არსებობს. ეს არის ერთიანობა ყველა პოლიტიკური ძალისა, რომელიც ერთის მხრივ არის რეალურად ოპოზიციური, მეორე მხრივ, აქვს გადაწყვეტილი გამარჯვება. ვიმეორებ, ერთიანობის გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

***— რა უნდა დაუპირისპიროს ოპოზიციამ და პირადად კონსერვატორები რას დაუპირისპირებთ იმ დიდ ფულს და სერიოზულ პიარს, რომლითაც ხელისუფლება არჩევნების მოგებას ცდილობს?***

— ჩვენი შეთავაზება არის წინასწარი არჩევნები, ყველაზე სამართლიანი ფორმა ერთიანობის მიღწევისა. სამართლიანი იმიტომ, რომ ერთი მხრივ ხალხი გადაწყვეტს, ვის, რა ადგილი ეკუთვნის ოპოზიციურ ერთიანობაში, ხოლო მეორეს მხრივ, ეფექტური იმიტომ, რომ ეს ბევრ წინააღმდეგობას აცილებს ოპოზიციას. ჩვენ ამ ინიციატივით გამოვდივართ ხალხის პარტიასთან ერთად. რამდენიმე სხვა პარტიისგანაც არსებობს თანხმობა. ზოგიერთ შემთხვევაში უკვე შემდგარია თანხმობა. ზოგიერთ შემთხვევაში კი წინაპირობა არსებობს. იმედი მაქვს, რომ ასეთი ფორმით ანუ ხალხის აზრის გათვალისწინებით შეიძლება რეალური ერთობის და ეფექტური ერთობის შექმნა, რომელიც შეძლებს დაამარცხოს სააკაშვილის მხრიდან დახარჯული მილიონობით თანხა, რომელიც კორუფციული გზით არის მოპოვებული. ეს თანხები ჩვენი ჯიბეებიდან არის ამოღებული და ისევ ჩვენი მოქალაქეების ხმების მოსაპოვებლად. ხელისუფლება მართლაც დიდ არმიას ამზადებს იმისათვის, რომ საკუთარი აქტივისტებისა და მომხრეების მხრიდან არაადეკვატური საქციელით შეძლოს დაამარცხოს საზოგადოების განწყობა, მაგრამ ეს ყველაფერი დასაძლევია. ჩვენი მთავარი პოსტულატი არის ერთობა. ცალ-ცალკე სააკაშვილის და თბილისში უგულავას დამარცხება იქნება მიუღწეველი. იმედი მაქვს, რომ მოვახერხებთ ძლიერი ერთობის ჩამოყალიბებას, რომელიც დაამარცხებს დიდ ფულს და დიდ ტყუილებს.

***— თქვენი აზრით, იმიჯშერყეული ოპოზიცია შეძლებს ადგილობრივ არჩევნებში ხელისუფლების დამარცხებას?***

— პირველ რიგში, ქართველი საზოგადოება შეძლებს სააკაშვილის დამარცხებას. ამისთვის საჭიროა ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების სათანადო კოორდინაცია იმისათვის, რომ ერთი მხრივ, ვამხილოთ სააკაშვილის რეჟიმი სხვადასხვა ტიპის დანაშაულობებში — იქნება ეს ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობა თუ ა.შ. ხოლო მეორეს მხრივ, ერთობისკენ სწრაფვას მხარი დაუჭიროს ყველა იმ ადამიანმა, ვინც თვლის, რომ სააკაშვილის რეჟიმის გახანგრძლივება არის ქვეყნისთვის დამღუპველი. საბოლოო ჯამში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება, თუ ჩვენ შევძლებთ ამ რეჟიმის დამარცხებას. ამით ქვეყანაში ერთმმართველობას დავასრულებთ.

***— თქვენი აზრით, რატომ მაინცდამაინც გიგი უგულავაზე გააკეთა არჩევანი პრეზიდენტმა? პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ უგულავა პრეზიდენტის გუნდში ყველაზე რეიტინგულია. ასეა?***

— რეკლამის საშუალებით ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, მათ შორის უხარისხო პროდუქციისაც. ასეთ უხარისხო პროდუქციად გვევლინება გიგი უგულავაც, რომელსაც ძალიან ბევრი დანაშაული მიუძღვის თბილისელებისა და მთლიანად საქართველოს წინაშე. მაგრამ ის კარგად რეკლამირებული უხარისხო პო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## ბათუმში ილიას ძეგლის ადგილას ნეპტუნის შიშველი ქანდაკება დაიდგმება

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, სადაც გასულ კვირას ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟს ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან პროტესტი მოჰყვა, ნეპტუნის შიშველი ქანდაკება და შადრევანი დაიდგმება. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დავით რობაქიძემ განაცხადა.

„ჭავჭავაძის ძეგლის ადგილას შადრევანს აკეთებენ, რომელშიც ნეპტუნის შიშველი ქანდაკება უნდა ჩასვან. ნეპტუნის შიშველი ქანდაკების დადგმის საკითხი საკრებულოს სხდომაზე გავაპროტესტეთ. საკრებულოს წევრების უმეტესობამ ამაზე არაფერი იცოდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თავმჯდომარე, გიორგი კირთაძე ინფორმირებული იყო. არა მგონია, თეატრის წინ შიშველი ნეპტუნის ქანდაკების დადგმა ვინმესთვის სასიამოვნო იყოს. დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება სააკაშვილის მითითებით მიიღეს. მის გარეშე ამის გაკეთებას ვერავინ გაბედავს, ელემენტარულად, საამისო ვაჟკაცობა არ ეყოფათ. თუ მოსახლეობა ნეპტუნის ქანდაკების დადგმას შეეწინააღმდეგება, ჩვენ ვალდებული ვართ მათ გვერდზე დავდგეთ.“ - განაცხადა რობაქიძემ.

ბათუმის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელის, ნოდარ დუმბაძის განცხადებით, თეტრის წინ შადრევანის მოწყობა, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ხოლო ქანდაკების დადგმა - ჯერ არა. „რადგან ბათუმი ტურისტული ქალაქია და ჩვენი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებაა, ამიტომ იყო საუბარი ნეპტუნზე. როგორც გითხარით, ჩვენ მხოლოდ შადრევნის გაკეთების დადგმას დავუჭირეთ მხარი. მასში ნეპტუნის ჩადგმის გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. შეიძლება მხოლოდ შადრევანი გაკეთდეს, ქანდაკების გარეშე“ - აღნიშნავს დუმბაძე.

მისი თქმით, პარკის კეთილმოწყობისთვის, რაშიც შედის ტროტუარების, გარე განათებისა და სხვა სამუშაოების გამართვა, აჭარის ბიუჯეტს 400 ათასი ლარი დაუჯდება, თუმცა არ გამორიცხავს, რომ პროექტის განხორციელებისთვის კიდევ დამატებითი თანხის გამოყოფა გახდეს აუცილებელი.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის თეატრის წინ რამდენიმე დღის წინ დემონტაჟი გაუკეთეს ილია ჭავჭავაძის ძეგლს, რომელიც თეატრის უკანა მხარეს, ცენტრალური ადგილიდან მოშორებით გადაიტანეს, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილებაც მოჰყვა.

**მედიანიუსი**

## საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ორმილიონიანი კრედიტი აიღო

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „კორ სტანდარტ ბანკისაგან“ ორი მილიონი ლარის კრედიტი აიღო, რითაც ტელევიზიის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დაფინანსდება. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე აცხადებს, აღებული კრედიტით არხი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება. „ტექნიკა, პირველ რიგში, მაუწყებლის პირველ არხს მოხმარდება, თუმცა შევიძენთ საერთო მოხმარების კამერებს, მონიტორებს. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მეორე არხის რეფორმირების ვალდებულებაც აიღო. ასევე უნდა ავამუშაოთ რუსულენოვანი „პირველი კავკასიური“, არის ხსვა ხარჯებიც, რაც პირველი არხისა და რადიოს ფუნქციონირებისათვის არის საჭირო“, — აცხადებს გახელაძე.

მედია პორტალ „media.ge“-ს ცნობით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კრედიტი 3-5 წლის ვადით აიღო.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 22 მილიონი ლარია გათვალისწინებული, თუმცა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაჰპირდა, პარლამენტი ბიუჯეტის დამტკიცებამდე აღადგენს მაუწყებლის დაფინანსების ადრინდელ წესს, ანუ მაუწყებლის ბიუჯეტი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,15 პროცენტით განისაზღვრება.

**მედიანიუსი**

## ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება მოუწევს

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

ლიტიკური პროდუქტია. შესაბამისად, ალბათ ამიტომ გაკეთდა მასზე აქცენტი. ნაციონალების ახალი პროდუქტის რეკლამირება იქნებოდა რთული ამ რეალობაში. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უგულავას ყველა გადაადგილებას აქტიურად გვაჩვენებდნენ ნაციონალური ტელეეთერებიდან. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი უგულავას თბილისის მერობის კანდიდატად დასახელების. ჩვენ კარგად გვახსოვს უგულავას დანაშაულობები დედაქალაქის იერ-სახის განადგურებასთან მიმართებაში, მათ შორის ძველი თბილისის კუთხით გვახსოვს არაერთი პროგრამა, რომელიც არ შესრულდა. კარგად ვიცით, რაც ხდება „მზიურთან“ მიმართებაში. ასე რომ, გიგი უგულავა სააკაშვილის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დამნაშავეა მათ შორის, ვინც ხელისუფლებაში გვევლინება. მაგრამ მეორეს მხრივ, ეს დამნაშავე ტელეეთერში ხშირად ჩანს და ამის გამო თვლიან ნაციონალები, რომ უგულავა არჩევნებში გაიმარჯვებს.

***— ხელისუფლება აქტიურად იყენებს ოპოზიციის მიმართ „შავ პიარს“. რა მოძრაობები შეინიშნება ოპოზიციის წინააღმდეგ და რა სახის „შავ პიარს“ ელოდებით?***

— ჩვენ არაერთხელ გვინახავს ხელისუფლების მხრიდან უსაფუძვლო ცილისწამება და საბოლოო ჯამში, არც ერთი მათი ცილისმწამებლური კამპანია არ დადასტურებულა. გახსოვთ, ნიკა გვარამიას აქტიური მონაწილეობით გადაღებული ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, იყო მეორე ფილმიც, ეს იყო ალბათ აპოგეა იმ შპიონომანიის, რომელიც ხელისუფლებას ოპოზიციის წინააღმდეგ ჰქონდა გაჩაღებული. ამით ცდილობდა თავისი უმძიმესი დანაშაულობების გადაფარვას. გახსოვთ, სამხედრო ამბოხებულების თემა, რომელიც ვერავის დააჯერეს. „შავი პიარი“ შეიძლება კვლავაც ვიხილოთ, მაგრამ რეალურად დარწმუნებული ვარ, ვერ შეძლებენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ ოპოზიციაში ფრანკენშტეინი მოიძებნება. რეალურად ფრანკენშტეინები უნდა ვეძებოთ სააკაშვილის გარემოცვაში. თვით სააკაშვილი გვევლინება პოლიტიკურ ფრანკენშტეინად, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს როგორც საბჭოთა, ასევე ფაშისტური ტოტალიტარული რეჟიმის ყველა მავნე და მძიმე მხარეს და დანაშაულებრივ ქმედებებს.

***— პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებს ამ ეტაპზე გამორიცხავთ ხელისუფლების მეორე ტალღის პირობებში?***

— გამორიცხული, რა თქმა უნდა, არაფერია. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების აქტივობის შემთხვევაში ხელისუფლებას ახალი პოლიტპატიმრების გაჩენაზე უფრო მეტად, ძველი პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება მოუწევს. იცით, რომ ეს პროცესი აქტიურად დაიწყო.

# ნუ მისცემთ პრეზიდენტს უპირატესობას საარჩევნო კომისიებში!

### ყოფილი ნაციონალი პრეზიდენტის უფლებების შესაკვეცად ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

თეა მარხვაია

**დღეიდან საქართველოში ხელმოწერების შეგროვების ახალი ეტაპი იწყება. ხელმოწერების შეგროვება ამჯერად ყოფილმა ნაციონალმა ალეკო შალამბერიძემ დაიწყო. სააკაშვილის გულშემატკივრებო, არ შეშფოთდეთ! ის ხელმოწერების შეგროვებას საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით აპირებს.**

**ყოფილი დეპუტატი 50%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწესებას და საარჩევნო კომისიებში პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვას ირჩევს. იმისათვის, რომ მისი ინიციატივა განხილულ იქნეს, საჭიროა 30 ათასი ხელმოწერის შეგროვება. ეს ხელმოწერები შალამბერიძემ 45 დღის ვადაში უნდა შეაგროვოს.**

პოლიტიკური მოთხოვნებით გადაღლილმა საზოგადოებამ შესაძლოა ამ ინიციატივას გულგრილად შეხედოს. შალამბერიძეს ეს ყველაფერი კარგად ესმის. ამასთან, სჯერა, რომ ხელმოწერებს შეაგროვებს. მისი აზრით, სამართლიანი საარჩევნო გარემო სწორედ საზოგადოებამ უნდა შექმნას.

— სამართლიანი და არადისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღება ჩვენი უფლებაა და არა სხვადასხვა ჯურის პოლიტიკოსების ვაჭრობისა და გამდიდრების საგანი. ნუ მივცემთ ნურავის ჩვენი უფლებებითა და თავისუფლებებით ვაჭრობის საშუალებას. ვიბრძოლოთ ჩვენი თანასწორი საარჩევნო უფლებების დასაცავად, რომელიც პრეზიდენტის ძალისა და უფლებების შეზღუდვაზე გადის, — აღნიშნა შალამბერიძემ.

რატომ უნდა შეგროვდეს საჭირო რაოდენობით ხელმოწერები, რატომ არ უნდა ჰყავდეს ნაციონალებს ცესკოში 7 წევრი, ამ თემებზე შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

— დღეს ჩვენი ბრძოლის ყველაზე მთავარი გზა გადის იმ უფლებების დაბრუნებაზე, რომელიც სააკაშვილმა წაგვართვა. ეს უფლებები მან თავის ხელში უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრირებით წაგვართვა. ამდენად, ჩვენი ბრძოლა უნდა მიდიოდეს უფლებების დაბრუნებისა და დაცვისთვის. ერთ-ერთ ასეთ უფლებას წარმოადგენს საარჩევნო უფლება. საზოგადოებამ, თავისუფლად, ჩვენი ნების გამოხატვით უნდა ავირჩიოთ ჩვენი წარმომადგენლები სახელისუფლებო ორგანოებში. სააკაშვილი იმის გარდა რომ არის პრეზიდენტი, ამასთან ის არის მთავრობის თავმჯდომარეც. ამის გარდა ის არის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის — ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. ამას სააკაშვილი იყენებს ბოროტად. საარჩევნო კოდექსი სხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ არის დიმსკრიმინაციული. ეს დისკრიმინაცია უნდა გამოსწორდეს. ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ სამართლიანი საარჩევნო კოდექსი. რათა საფუძველი ჩავუყაროთ მომავალში სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

***— რითია ეს კანონი სხვა პარტიებისთვის დისკრიმინაციული. და როგორ გესახებათ მისი გამოსწორების გზები?***

— დისკრიმინაციული არის იმდენად, რომ საარჩევნო კომისიებში პრეზიდენტს საშუალება აქვს, ჰყავდეს 7 წევრი, ხოლო დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს — თითო წევრი. ანუ სააკაშვილის უპირატესობა ოპოზიციასთან არის 7:1.

***— გამოდის, რომ სააკაშვილი არჩევნებამდე უკვე 7:1 უგებს ოპოზიციას?***

— არამარტო ოპოზიციას, სააკაშვილი 7:1 უგებს საზოგადოებას, რომლის ნების გამომხატველი არიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ოპოზიცია ჰქვია. ეს რომ გამოსწორდეს, აუცილებელია მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ჩემს საკანონმდებლო ინიციატივას. მოსახლეობის ინტერესებს წესით პარლამენტი უნდა გამოხატავდეს. სამწუხაროდ, დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას. ასევე არ არის ნათელი, ჭრელი პარტიები რამდენად ასახავენ მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას. ასეთ ვითარებაში თავად მოსახლეობამ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და ასეთ რთულ კრიზისულ პირობებში დაიწყოს თავისი უფლებების დაცვა. ასეთი კანონის ინიცირებით მოსახლეობა თავის უფლებას დაიცავს. მე იმედი მაქვს, რომ ეს ინიციატივა 30 ათასი ადამიანის მიერ იქნება მხარდაჭერილი.

***— ეს 30 ათასი ხელმოწერა რა ვადებში უნდა შეაგროვოთ?***

— ძალიან მცირე ვადაში. ამისთვის 45 დღეა გათვალისწინებული. ეს ათვლა დაიწყო დღეიდან. ხელმოწერების შეგროვებას ძალიან სერიოზული პროცედურების ჩატარება სჭირდება. უკვე დროა ჩვენმა მოსახლეობამ ქუჩაში გამოსვლის გარეშე შეძლოს სააკაშვილის უფლებების შეზღუდვა.

***— თქვენი ინიციატივის მხარდაჭერის შემთხვევაში რანაირად შეზღუდავს მოსახლეობა სააკაშვილის უფლებებს?***

— ამ შემთხვევაში სააკაშვილის უფლებების შეზღუდვა საარჩევნო კომისიებში მოხდება. იმისათვის, რომ ჩვენთან სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს, საჭიროა ცესკოში თითო პარტიას თითო წევრი ჰყავდეს.

***— ნაციონალებსაც ერთი წევრი უნდა ჰყავდეთ?***

— რა თქმა უნდა. ცესკოში ყველა პარტია თითო წევრით უნდა იყოს წარმოდგენილი.

***— ხელმოწერების შეგროვება მარტოს ალბათ გაგიჭირდებათ. ოპოზიცია საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით პრეტენზიებს აცხადებს. ისინი არ დაგეხმარებიან ხელმოწერების შეგროვებაში?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელს უკვე ვესაუბრე. მათთან ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა. მათთან კვლავ ვაგრძელებ შეხვედრებს. მინდა ეს პოზიცია მათაც დააფიქსირონ და ეს საკითხი გახდეს მთელი პოლიტიკური საზოგადოებისთვის აქტუალური. მე მიმაჩნია, რომ ქუჩაში დგომით და გადადექის ძახილით არაფერი არ გაკეთდება. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენ ძირითადად ქუჩაში ვდგავართ და გადადექის ვიძახით. ამ ძახილმა რამდენჯერმე შედეგიც გამოიღო. თუმცა, სადამდე მიგვიყვანა ამ გადადგომამ, ყველამ კარგად ვნახეთ. ამიტომაც ქუჩის აქციებს თავი უნდა დავანებოთ და უსამართლობას სხვა ხერხით ვეძებოთ. მოსახლეობას თავისი უფლებების და სამართლიანობის დაცვა აქციების გარეშეც შეუძლიათ. უნდა დავამკვიდროთ ტრადიცია, რომ ადამიანები თვითონ წყვეტენ, როგორი საარჩევნო გარემო იქნება. ჩვენს საზოგადოებას ავტორიტარული რეჟიმის დამარცხება და დაძლევა შეუძლია.

***— დღეს ბევრს საუბრობთ საარჩევნო კოდექსის მანკიერ მხარეზე. მაგრამ რატომ არაფერს ამბობდით ამაზე მაშინ, როცა ნაციონალებში იყავით. მართალია მაშინ აკრიტიკებდით მათ ქმედებებს, მაგრამ საარჩევნო კოდექსი არ დაგიგმიათ.***

— აი, ეს არის ჩემი შეცდომა. როცა პარლამენტში ვიყავი, ამ თემაზე მაშინ უნდა მესაუბრა. რალაცებზე თვალები მართლა დამიხუჭია. იმასაც ვიტყვი, უმრავლესობაში ყოფნის დროს მე ბევრი რამე გავაკეთე იმისათვის, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები განვითარებულიყო.

***— ისე, თქვენ თითქმის ერთადერთი იყავით, რომელიც 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე არჩეული მაჟორიტარებისთვის დეპუტატის მანდატის გაუქმებას ითხოვდა.***

— ეგ სხვა თემაა. თუმცა, ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ გაუქმდა 2 ნოემბრის არჩევნების პროპორციული შედეგები. იმ დღეს არჩეულ მაჟორიტარებს კი რატომღაც შეუნარჩუნდათ დეპუტატობა. ეს ძალიან საინტერესო და უცნაური ამბავი იყო, რადგანაც შეუძლებელია გაყალბებულ არჩევნებზე მაჟორიტარული არჩევნები სამართლიანად ჩატარებულიყო. მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებისთვის



ხელმოწერების შეგროვება რამდენიმე ადამიანმა ძალიან აქტიურად დავიწყეთ, საბოლოოდ ამ პროცესს მე და ვახტანგ ხმალაძე შემოვრჩით. ჩვენ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. ამ ამბავში მხარს გვიჭერდა თინა ხიდაშელიც, რომელიც მაშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში იყო. ჩვენ შედეგების გაუქმების მოთხოვნით შეგროვებული ხელმოწერები საკონსტიტუციო სასამართლოში მივიტანეთ. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ავტორიტარული არჩევნების შედეგები გაუქმებულიყო.

***— თუ ყველაფერი მზად იყო, რატომ ჩაიშალა ეს ამბავი?***

— როცა ამ დოკუმენტს ვაბარებდით, საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა ამის საწინააღმდეგო დოკუმენტი. ის ერთ-ერთმა პატივცემულმა ადამიანმა მოიტანა.

***— ვინ იყო ეს ადამიანი და რა დოკუმენტი მოიტანა?***

— ეს იყო ვალერი გელბახიანი. მან მოიტანა დოკუმენტი, სადაც ხელმოწერების ავტორები აღნიშნავდნენ, რომ უკან მიჰქონდათ თავიანთი მოთხოვნა. აი, ამიტომ ჩავარდა ეს საკითხი. ეს ამბავი საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს. უნდა იცოდეს ის, რომ სააკაშვილის დამსახურებით არ გაუქმდა ეს შედეგები. სააკაშვილის ნება რომ არ ყოფილიყო, ხელმოწერების უკან გაწვევას არავინ გაბედავდა. სხვებისგან განსხვავებით მე ბოლომდე ვაღიარებ ჩემს შეცდომებს. მინდა ადამიანებმა იცოდნენ, რომ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს. შეცდომა დავუშვი, თუმცა, მაშინ მე ვასრულებდი საზოგადოების დაკვეთას.

***— საზოგადოების დაკვეთით შესრულებული რომელი მოთხოვნა მიგაჩნიათ შეცდომად?***

— მაგალითად ის, რომ მხარს ვუჭერდი შევარდნაძის გადადგომას. მაშინ ეს საზოგადოების დაკვეთა იყო. პოლიტიკურმა ცხოვრებამ და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზოგადოების დაკვეთა ხშირად არასწორია. და მე აღარ მინდა, რომ საზოგადოების დაკვეთა შევასრულო და ამით შეცდომა დავუშვა. ისევე, როგორც მაშინ საზოგადოება ახლაც ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. მე ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, რომ ეს არის შეცდომა. შექმნილ ვითარებას პრეზიდენტს გადადგომა ვერ გამოასწორებს. თუ გვინდა, რომ რამეს მივაღწიოთ, პრეზიდენტის უფლებები უნდა შევზღუდოთ. თუ ასე არ მოხდა, აზრი არა აქვს, ვინ გახდება ქვეყნის მმართველი. ის ძალაუფლება, რომელიც პრეზიდენტს აქვს, ნებისმიერ ადამიანს აქცევს დიქტატორად. ქვეყნის მმართველი არის ხალხი. მან თავისი უფლებების დაცვა მარტო ოპოზიციას და ხელისუფლებას არ უნდა მიანდოს. ამისთვის თავადაც უნდა იაქტიუროს. ამისათვის კი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა საჭირო. ეს კი მანამდე ვერ მოხდება, სანამ სააკაშვილს შვიდი წევრი ეყოლება ცესკოში და სხვა პარტიებს — თითოთითო. საზოგადოებამ ეს არ უნდა დაუშვას და სააკაშვილს საარჩევნო კომისმიაში უპირატესობა არ უნდა მივცეთ.

# სად იყო ომის დროს ვანო მერაბიშვილი

## ომის დროს სააკაშვილს შეგნებულად აწვდიდნენ ცრუ ინფორმაციებს

გულიკო ბალაძე



**რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები დრო და დრო აცხადებენ, რომ საქართველოს სხვადასხვა ქვეყნები აიარაღებენ. ასეთი განცხადება ამას წინათ რუსეთის სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა გააკეთა, ახლა კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. სამხედრო ექსპერტისა და პოლიტიკოსის გიორგი თავდგირიძის თქმით, ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ დღეს საქართველოს მართავენ უპრინციპო პოლიტიკოსები, რომლებსაც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის პოლიტიკას.**

*— ბატონო გიორგი, ცოტა ხნის წინ, რუსეთის სამხედრო-სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა ალექსეი სვიატკუროვმა განაცხადა, რომ საქართველოს კვლავ აიარაღებენ უკრაინა, ისრაელი და ნატო. ახლა მსგავსი რამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა...*

— რუსების გულის გასახეთქად საქართველო კვლავ აგრძელებს შეიარაღების შესყიდვას...

*— რუსების განცხადება ისრაელის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის თაობაზე, რამდენად შეიძლება შეეფერებოდეს სიმართლეს იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე თვის წინ ისრაელმა უარი თქვა საქართველოსთვის იარაღის მოწოდებაზე.*

— ასეთი პოლიტიკური განცხადებები იყო, მაგრამ როგორც ჟირინოვსკის ნათქვამი არაფერს წყვეტს, ასევე ხანდახან პოლიტიკური რევერანსისთვის ცალკეული პოლიტიკოსის კერძო განცხადება, თავისთავად არ აისახება რეალობაზე. დღეს აქტიური სამხედრო კავშირი ისრაელთან აღარ გვაქვს, შეფერხებებია სამხედრო ვაჭრობის კუთხით, მაგრამ ეს დროებითია.

*— როგორ აფასებთ რუსეთის მაღალჩინოსნების მოწოდებებს, შეწყდეს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა?*

— საბჭოთა კავშირის გერეუ მსოფლიოს აზანზარებდა. მართალია, ის არ იყო რეკლამირებული, მაგრამ ამ სამსახურმა ყოველთვის ყველაფერი ყველაზე კარგად და ადრე იცოდა. ახლა ამ სამსახურს ისეთი ხელმძღვანელი ჰყავს, რომ იმგვარ განცხადებებს აკეთებს, ჟირინოვსკის მსგავსი პოლიტიკოსებიც აღარ აკეთებენ.

*— რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იარაღის თემას მიაყოლებენ ხოლმე, აფხაზეთსა და ცხინვალთან დაკავშირებით საქართველოს მოქმედებები ძალიან გვაწუხებს და თვალყურს ვადევნებთო...*

— საბჭოთა დროს სტალინის პერიოდში რუსეთი მსოფლიო ბატონობას ცდილობდა და გერეუს დაზვერვის ობიექტები ისეთი ქვეყნები იყვნენ, როგორებიცაა ამერიკა, გერმანია და მსგავსი დიდი ქვეყნები. ახლა საწყალი რუსეთი იმ დონემდე დავიდა, რომ მისი მთავარი მოწინააღმდეგე საქართველოა, მთავარი მოკავშირეები კი აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ჰამასი და მექსიკა. რუსეთის დაზვერვის სათავეში უდგას ადამიანი, რომელიც ორლობის ჭორიკანა პოლიტიკოსივით აბსურდულ რაღაცეებზე საუბრობს. წარმოიდგინეთ სამსახური, რომელიც მილიონობით დოლარით ფინანსდება და მისი უფროსი აცხადებს, მე დავზვერე და დავადგინე, რომ ვიღაცეები საქართველოსთან რაღაც იარაღით ვაჭრობენო. ეს განცხადება სერიოზულია? რუსეთის დაზვერვის უფროსს რომ განეცხადებინა, ამ ფირმასთან ამ რაოდენობით, ამდენი ცალი, ამ ფასში შეიძინა საქართველოსთვის იარაღი, არ განბაჟდა, რითაც დაირღვა კონვენციაო, მაშინ ჩავთვლიდი, რომ რუსეთის დაზვერვას უმუშავია. თუმცა, თუ ასეთი განცხადებები გაკეთდება, ჩათვალეთ, რომ კარგია — ქართველებმა უნდა გავიხართ — რუსეთის საქმე სულ უფრო და უფრო უკან მიდის, რადგან მისი მთავარი სადაზვერვო ინსტრუმენტი ისე დაჩლუნგდა, ჭორის დონეზე საუბრობს იმაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები იარაღს ვისგან ყიდულობენ.

*— თვითონ რუსეთი ახლა საფრანგეთისგან სამხედრო გემებს ყიდულობს. რამდენად ჯდება თამაშის წესებში ნატოს წევრი ქვეყნის, საფრანგეთის მიერ რუსეთისთვის სამხედრო ტექნიკის მიყიდვა?*

— იურიდიული თვალსაზრისით ეს არანაირი დარღვევა არ არის. მით უმეტეს, ამით არც ნატოს წესდება არ ირღვევა. უბრალოდ, დეკლარირებული პოლიტიკური პრინციპების უგულებელყოფაა საფრანგეთის მხრიდან. როგორც წესი, ევროპის ქვეყნები უარს ამბობენ იმ ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვაზე, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არიან ჩართული, ან პოტენციური საერთო საფრთხის მქონე უთანხმოება აქვთ მეზობელ ქვეყნებთან. რუსეთს ისედაც ჰყავს თავისი სამხედრო შენაერთები. ამ დროს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურად საფრანგეთის ეს ნაბიჯი ალოგიკურია. თუ რუსეთისა და საფრანგეთის მიერ დადებული ხელშეკრულება ბოლომდე მივა და საფრანგეთი გემებს მიყიდის რუსეთს, ევროპაში საკმაოდ დიდი ბატალიების მხილველი გავხდებით.

*— აგვისტოს ომის დროს საფრანგეთის პრეზიდენტი იყო შუამავალი. ახლა ეს შუამავალი, ჩვენს მოწინააღმდეგე ქვეყანას სამხედრო ტექნიკას აწვდის. იურიდიული თვალსაზრისით არარა, მაგრამ როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი ქვეყნის ქმედება, როგორ შეიძლება შეფასდეს?*

— ნატო არ განიხილავს რუსეთს მტრულ ქვეყნად, ანუ ცივი ომი, თუნდაც ფორმალურად, დასრულებულია. საკითხს ამ კუთხით თუ შევხედავთ, წესით, პრობლემა არ უნდა იყოს. ერთია, ქართველების გადმოსახედიდან, მეორეა — რეფორმალური კუთხით როგორ ჩანს. აქ ლაპარაკია დეკლარირებული პოლიტიკური პრინციპების დარღვევაზე. საუდის არაბეთი ამერიკისთვისაც და ევროპის ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანი პარტნიორია. მიუხედავად ამისა, დიდი პოლიტიკური სკანდალი იყო, როცა გამოაშკარავდა ფაქტები, რომ გერმანიამ საუდის არაბეთს ავტომატების წარმოების ლიცენზია მიჰყიდა. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, მაგრამ გერმანიამ თავდაპირველად მისთვის ლეოპარდ-2-ების მიყიდვაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თურქეთს შიდა სეპარატისტული რეგიონი ჰქონდა, ქურთებით დასახლებული და იქ საბრძოლო მოქმედებებს ახორციელებდა, ანუ ევროპული დეკლარირებული პრინციპებიდან გამომდინარე, მიუღებელი უნდა იყოს რუსეთისთვის იარაღის და შეიარაღებული სისტემების მიყიდვა. მეორე თემაა ის, რომ აქ საუბარია ე.წ. გადატვირთვაზე და ჩვენ არ ვიცით, რა ხდება კულუარებში. მედვედევი საკმაოდ აქტიურ პოლიტიკას ატარებს, რომ რუსეთში რეფორმები განახორციელოს და, დავუშვათ, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მასშტაბები შეზღუდოს. რუსეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა თავისი ფირმებისთვის ფულის გამოყოფაზე გემების საწარმოებლად. ამისთვის მას მაინც სჭირდება საზოგადოებას აუხსნას, კარგი, შენ თვითონ არ აწარმოებ გემებს, არ აბანდებ ფულს შიდა წარმოებაში, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნას? ამ შემთხვევაში, საფრანგეთისაგან გემის შესყიდვა, მედვედევის პიარისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. ის ამბობს, იმიტომ ვამბობ უარს დაფინანსებაზე, რომ გაცილებით უკეთესი ხარისხის გემს ვყიდულობ, უფრო იაფად, ვიდრე ის მიჯდება შიდა წარმოებისას. აქედან გამომდინარე, საფრანგეთისგან სამხედრო ტექნიკის შესყიდვა რუსეთისათვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ შიდა პოლიტიკური დაძაბულობა საკმაოდ მაღალია. საფრანგეთს, ევროპის ქვეყნებს და აშშ-ს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ და, შესაძლებელია, გარკვეულწილად, გადატვირთვის ფორმატში ზუსტად მედვედევის მხარდაჭერად აღიქმებოდეს რუსეთისთვის გემის მიყიდვა. ამას შეიძლება მოჰყვეს ბევრი შეზღუდვაც. ეს ბაზარში ერთი კილო პამიდვრის ყიდვა არ არის. ასეთი დონის ხელშეკრულება ითვალისწინებს არა მხოლოდ ერთი გემის ყიდვასა და გაყიდვას, არამედ ამას მოჰყვება ხოლმე მთელი რიგი ხეშეკრულებები, რომელსაც შეუძლია გარკვეულწილად შეზღუდოს ამ გემის გამოყენების არეალი, გარკვეული პირობები დაუდოს რუსეთს, რაც მინიმუმამდე დაიყვანს საფრთხეს თუ ეს გემი შავ ზღვაში შემოვა და რამენაირად საქართველოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. რუსეთის სიძლიერე ჩრდილოეთში არანაირად არ აისახება მის სიძლიერეზე სამხრეთში. გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებას თუ გავითვალისწინებთ, ეს ქმედება პირდაპირ კავშირში არ არის ჩვენთან. თუ საქართველოს რაიმე შანსი ექნება, ისეთი ხელისუფლება მოვა, რომელიც გადაწყვეტს კონფრონტაციაში იყოს რუსეთთან და მის მიმართ პრინციპული პოლიტიკა გაატაროს.

*— ბატონო გიორგი, თქვენ ერთხელ მითხარით, აგვისტოს ომის პერიოდში სააკაშვილის გარემოცვიდან რუსებს ატყობინებდნენ, რომ მალე შეიძლებოდა გაეტეხათ სააკაშვილის წინააღმდეგობა. თქვენი ინფორმაციით, სააკაშვილის გარემოცვაში რუსეთის აგენტები არიან?*

— მე სადაზვერვო სამსახური არ მყავს და მისგან მოწოდებული ინფორმაცია არ მაქვს. რასაც ვამბობ, ანალიზის შედეგია. ჩემი ანალიზით, სააკაშვილის კარზე საკმაოდ გავლენიანი პირები არიან, რომელთა ინტერესი რუსეთის ინტერესებს ემთხვევა. ამას ჰქვია აგენტურა. აგენტი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის მზვერავი, შეიძლება ინფორმაციის მოპოვებაზე მოტივირებული და ორიენტირებული, ან ე.წ. გავლენის აგენტი, რომლის მთავარი ამოცანაა, სხვადასხვა პოლიტიკური ინტრიგის გახლართვა და რუსეთის პოლიტიკის გატარება საქართველოში. თუ ყველაფერს დავაკვირდებით, რაც მოხდა ცხინვალში, ასეა. იგივე ოქრუაშვილზე ვისაუბროთ — მისი ნებისმიერი განცხადება და ქმედება რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამის შემდეგ ეგ გინდ აგენტი იყოს, გინდ — არა. მისი ქმედება აბსოლუტურად რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

*— სხვათა შორის, ოქრუაშვილზე იმასაც ამბობენ, კოკოითთან ერთად სანადიროდ დადიოდაო.*

— ეს მისი პრობლემაა და არ მაინტერესებს. თუმცა, კოკოითთან არაოფიციალური კავშირი არ არის კარგი და მისასალმებელი. ახლა რაც შეეხება ცოცხლებს — მოქმედ პოლიტიკოსებს — უკაცრავად, სად იყო ბატონი მერაბიშვილი, როცა პასუხისმგებლობის აღება იყო საჭირო? თუ ბიწაძეს დავუჯერებთ, მან მთელი დღის განმავლობაში მერაბიშვილთან დაკავშირება ვერ მოახერხა. როგორც ინფორმაცია გამოვიდა, მერაბიშვილი საბრძოლო მოქმედებების არეალში არ იმყოფებოდა. მაშინ, როცა ის სააკაშვილის მარჯვენა ხელია, დიდი გავლენა აქვს სააკაშვილის კარზე, პასუხისმგებლობაც მეტი აქვს. აქედან გამომდინარე, სიტუაციისაგან გარიდება ღალატის ტოლფასია.

*— ომის დროს მერაბიშვილი სად იმყოფებოდა?*

— როგორც ბადრი ბიწაძემ განაცხადა, საზღვართან ახლოს, სადღაც ახალციხეში თუ ახალციხის მახლობლად.

*— ანუ გასაქცევად ემზადებოდა?*

— ჰო, არ ვიცი. ალბათ, სამშობლო მოენატრა და სანახავად იყო წასული. ეს ისეთი თემაა, გასაქცევად ემზადებოდა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. მთელი საინფორმაციო სამსახური მერაბიშვილის ხელშია და სააკაშვილს აწვდიდნენ ინფორმაციას, რომ ქართული შეიარაღებული ძალები აღარ არსებობდა, მე-4 ბრიგადა განადგურდა და ა.შ. ამ შემთხვევაში ამაში მერაბიშვილის ხელიც ურევია.

*— თქვენი აზრით, სააკაშვილისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება შეგნებულად ხდებოდა?*

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს ასეთ ინფორმაციას შეგნებულად აწვდიდნენ, რომ მისი ნება გატეხილიყო. თავისთავად ამ ადამიანს მიდრეკილება აქვს დეპრესიისკენ და, შესაბამისად, ალბათ შინაგანად ისიც იყო მზად, ანუ შინაგანად ისიც მოიშალა უკვე, თორემ მხოლოდ ასეთი ინფორმაციები ღირსეულ მხედართმთავარს, წესით, იმედს არ უნდა უკარგავდეს.

# რუსეთის ქმედებებზე პარლამენტი განცხადებას მიიღებს

ნანა მიშელაშვილი



რუსეთსა და საქართველოს შორის რეალური ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციის შემდეგ მოხდება. ასეთი კომენტარი გააკეთა ჟურნალისტებთან საუბრისას უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის კომენტირებისას.

— საქართველოსა და რუსეთს შორის რეალური დაახლოება და ურთიერთობების აღდგენა ჩვენს ინტერესებშიც შედის, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციის გზით. ხოლო როცა საქართველოს ოკუპაციის პროცესი ისევ გრძელდება, ახალ ურთიერთობებზე საუბარი შეუძლებელია, — მიაჩნია გოკა გაბაშვილს.

რუსეთის პრეზიდენტმა გუშინ განაცხადა, რომ ზემო ლარსის გახსნისა და რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი საჰაერო რეისების განხორციელების საკითხებში დაბრკოლებებს ვერ ხედავს.

ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით, გოკა გაბაშვილი განმარტავს, რომ ეს პროცესი საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ და ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს რომ რუსეთმა პროვოკაციისთვის არ გამოიყენოს.

რუსეთის ქმედებები ქრონოლოგიურად იქნება აღწერილი პარლამენტის იმ განცხადებაში, რომლის მიღებაც პარასკევს იგეგმება. სპეციალური განცხადების ტექსტი რამდენიმე დღის განმავლობაში მზადდებოდა.

ამ განცხადებით პარლამენტი საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთის ფედერაციის მხრიდან გახშირებულ უკანონო ქმედებებზე მკვეთრი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

პარლამენტი სპეციალური განცხადების მიღებას რომ გეგმავდა, ეს ორშაბათს გადაწყდა. განცხადების მომზადება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა საპარლამენტო კომისიას დაევალა.

როგორც დეპუტატები აცხადებენ, განცხადების ტექსტში ასახული იქნება: საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კანონდარღვევის, საქართველოს საზღვაო აკვატორიის აფხაზეთის მონაკვეთში რუსული სამხედრო კატარღების შეყვანისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტები.

პარლამენტის წევრები მიიჩნევენ, რომ რუსეთი თავის ქმედებით ცდილობს გააღრმაოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია და გააძლიეროს საქართველოზე სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლა.

პარლამენტი გეგმავს, მოუწოდოს საერთაშორისო თანამეგობრობას, მეგობარი ქვეყნების პარლამენტებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს გააძლიერონ რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა დესტრუქციული ქმედებების შესაჩერებლად.

დეპუტატები მიმართავენ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ გააძლიერონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების მტკიცე პოლიტიკა.

## მთავრობამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების ინიციატივა მოიწონა

მთავრობამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებული ინიციატივა მოიწონა, — ამის შესახებ, მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ცვლილების ინიცირება უკვე პარლამენტში მოხდება და მასზე საკანონმდებლო იმსჯელებს.

მთავრობის სხდომაზე გუშინ წარდგენილი ცვლილებების თანახმად, არასრულწლოვნებთან მიმართებაში ლიბერალური პოლიტიკა გატარდება, რაც გულისხმობს პროკურორებისთვის დისკრეციული უფლების მიცემას დევნის დაწყებასთან დაკავშირებით. მურთაზ ზოდელავას განმარტებით, ეს გავრცელდება მხოლოდ მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულზე და არ შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რადგან საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით სიმკაცრე აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.

ცვლილება ასევე შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 14 წლამდე გაზრდას. პარლამენტში დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ცვლილებები უკვე მომავალი წლიდან ამოქმედდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ცხინვალის რეჟიმი რადიო „თავისუფლებას“ უჩივის

ცხინვალის რეჟიმი არ გამორიცხავს, რომ „უკანონო მაუწყებლობისთვის“ რადიო „თავისუფლებას“ უჩივლოს. როგორც ინტერნეტგამოცემა „კავკაზსკი უზელი“ იუწყება, ამის შესახებ ცხინვალის რეჟიმის ინფორმატიზაციისა და კავშირის ე.წ. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კაბისოვმა განაცხადა.

— რადიო „თავისუფლება“ სამხრეთ ოსეთის ინფორმაციულ სივრცეში რეგისტრაციისა და რადიოსიხშირის მოთხოვნის გარეშე შემოვიდა, იმის მიუხედავად, რომ არსებობს რეგისტრაციის პროცედურა, — განაცხადა კაბისოვმა.

ამ მიზეზით, რადიო „თავისუფლების“ მაუწყებლობას ცხინვალის რეჟიმი „მეკობრეობად“ აფასებს.

— აუცილებელი იყო მაგნიტური თავსებადობის პროცედურა მაინც გაევლოთ, რომ სხვა რადიოსადგურების მაუწყებლობისთვის არ შეეშალათ ხელი. ამის საფუძველზე ჩვენ მშვიდად შეგვიძლია შევწყვიტოთ სამხრეთ ოსეთის ინფორმაციულ ველში რადიო „თავისუფლების“ მაუწყებლობა ან საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლოთ, — განაცხადა კაბისოვმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ბოკერიას გავლენა სააკაშვილის კარზე ისევ გაიზარდა

## „თავისუფლების ინსტიტუტი“ ახალი ქართველის შექმნას არ იშლის

**განათლების მინისტრის შეცვლას ბევრი ჭორი მოჰყვა. საზოგადოებაში უამრავი ვერსია გაჩნდა. უამრავი ვერსია აქვთ პოლიტიკოსებსაც. ამ ვერსიებზე მანანა ნაჭყებია „ახალ თაობას" ესაუბრება.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ქალბატონო მანანა, როგორ ახსნიდით განათლების მინისტრის პოსტზე დიმიტრი შაშკინის გადაყვანას. რატომ დატოვა პოსტი განათლების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, მართლა სწავლის წყურვილი იყო გვარამიას მხრიდან მინისტრის პოსტის დატოვების რეალური მიზეზი?***

— ნაკლებად მჯერა თვითონ ნიკა გვარამიას ვერსიისა, რომ ის სასწავლებლად მიდის საზღვარგარეთ და ამის გამო ითხოვა მინისტრის პოსტის დატოვება. უფრო მგონია, რომ ნიკა გვარამიას და იმ ჯგუფის შეუთავსებლობა მოხდა, ვგულისხმობ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებიც სამინისტროში მუშაობდნენ. ჩემი აზრით, სწორედ მათი იდეოლოგიური შეუთავსებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ დღეს ნიკა გვარამია განათლების მინისტრი აღარ არის. რაც შეეხება დიმიტრი შაშკინის დანიშვნას, ვფიქრობ, სწორედ ეს მიზეზი განაპირობებდა შაშკინზე არჩევანის გაკეთებას. ის აბსოლუტურად თანხმობაშია ამ თემებთან დაკავშირებთი მმართველი გუნდის იდეოლოგიასთან. ვგულისხმობ გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილის და ამ დაჯგუფების იდეოლოგიას. მოდით, სახუმარო თემას ნუ გავხდით იმასაც, რომ ახალი ქართველის ჩამოყალიბებაზეა საუბარი. დამალული არ არის, რომ ლევან რამიშვილის ჯგუფი, რომელსაც გარკვეულწილად თეა თუთბერიძე ახმოვანებდა ხოლმე შიგადაშიგ, სწორედ ამაზე საუბრობდა — მე ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სფეროში რეფორმები შეჩერდაო. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფრთის გავლენა კვლავ გაიზარდა პრეზიდენტზე. უფრო სწორად, ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილმა დროებითი ტაიმ-აუტი აიღო, როდესაც გარკვეული „დათბობა“ მოახდინა განათლების სფეროს მიმართ. მახსენდება თითქმის ყველა ის საკითხი, რომელზეც „ახალი მემარჯვენეები“ პარლამენტში ვსაუბრობდით — ზოგადი განათლების კანონთან, უმაღლესი განათლების კანონთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ეს საკითხები თანდათანობით, ეტაპობრივად გადაწყდა და მოხდა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა, როგორზეც ჩვენ მაშინ ვსაუბრობდით. მე ამის უკან ვხედავ სწორედ იმას, რომ მათ ხალხის აზრი გაითვალისწინეს განათლების რეფორმის კუთხით. მაგრამ ეს იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუმცა, ხელისუფლებას თავის რეალურ მიზნებზე განათლების სფეროში, უარი არ უთქვამს. ასე რომ, ეს არის ამ საკადრო გადაადგილების რეალური მიზეზი. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. რაც შეეხება ზოგადად ამ ფაქტის შეფასებას, აქ უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რომ ვთქვათ, ნიკა გვარამია, რომელიც განათლების მინისტრი იყო, სასწავლებლად მიდის. რომ სწავლა სიბერემდე შეიძლება. მთელ მსოფლიოში განათლების სისტემა ასეა მოწყობილი, რომ ადამიანებს უწყვეტი განათლების საშუალება აქვთ. თავისთავად, ამაში ცუდი არაფერია. უბრალოდ, საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებას კვლავ რევოლუციური ჰგონია თავისი თავი. ფაქტია, ხელისუფლება კარგად ხვდება თავის საკმაოდ მყიფე მდგომარეობას და ჯერჯერობით ვერ ბედავს, რომ პროფესიული ნიშნით დააწინაუროს ადამიანები ხელმძღვანელ თანამდებობებზე. აქ მთავარი მაინც ნდობაა. ხელისუფლება თავს მაინც ძლიერად ვერ გრძნობს და აქედან გამომდინარე, მას საკმაოდ სერიოზული დეფიციტი აქვს ნდობით აღჭურვილ კადრებში. ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე ადამიანები ტრიალებენ წრეზე.

***— თქვენი აზრით, შაშკინი განათლების სფეროს პირველ პირად ახალი ქართველის გამოყვანის დავალებით მიდის?***

— გააჩნია, რას ვგულისხმობთ ახალ ქართველში. თავისთავად ევროპული ღირებულებები და ზოგადად, ადამიანის ქცევა კულტურის შემადგენელი ნაწილია. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა და ეკონომიკურად ძლიერია, მით უფრო მეტია განათლების დონე ასეთ ქვეყნებში. აქედან გამომდინარე მით უფრო მეტია ადამიანების ქცევის კულტურა. აქედან ყალიბდება კანონისადმი მორჩილება; ადამიანის ქცევების ის ნაწილი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს უმრავლესობის აზრის გათვალისწინებას; ადამიანის უფლებების პატივისცემას და ა.შ. თუ ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში ამას ვიგულისხმებთ, ეს თავისთავად ხდება. როდესაც პროგრესი ქვეყანაში შემოდის, ბუნებრივია, ძალიან ბევრი რამ იცვლება. მაგრამ ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფო და ვფიქრობ, საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს, თუ ის ეროვნული სახელმწიფო არ იქნება, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ პროგრესი სიახლის შემოსვლასთან ერთად აუცილებლად თავის ტრადიციებზე ხვდებოდეს, ტრადიციებსაც ავითარებდეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს არის თავისთავად პროგრესული პროცესი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ეს მმართველ გუნდს — ნაციონალურ მოძრაობას წარმოუდგენია. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ კონსერვატიული ტიპის პარტია ვართ და ქვეყნის ტრადიციებს ძალიან დიდი პატივს ვცემთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ პროგრესზე უარს ვამბობდეთ. პირიქით, მიგვაჩნია, რომ პროგრესი აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს დაფუძნებული შენს ეროვნულ ღირებულებებზე. აი, ამ თვალსაზრისით მმართველ გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს. ისინი უნივერსალური ანუ კოსმოპოლიტი ადამიანისკენ მიისწრაფვიან. მე წამიკითხავს მათი შეხედულებები და ამაზე საუბრის საფუძველი მაქვს. წამიკითხავს როგორც გიგი თევზაძის, ისე მმართველი პარტიის იდეოლოგიური გუნდის სხვა წარმომადგენლების შეხედულებები. ძალიან ბევრ რამეში მე მათ არ ვეთანხმები. ვთვლი, რომ ის მოსაზრებები, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლების წარმომადგენელი აპირებენ, ჩვენი ეროვნული ტრადიციებისთვის მიუღებელია.



***— რატომ გაძლიერდა ხელისუფლებაში უგულავა-მერაბიშვილ-რამიშვილის ანუ თავისუფლების ინსტიტუტის ფრთა. ეს სააკაშვილის სურვილით ხდება თუ პრეზიდენტმა ამ გუნდზე კონტროლი დაკარგა?***

— ჩემი აზრით, როგორც კი სააკაშვილმა დაინახა, რომ მისი რეიტინგი ეცემოდა და პირველ რიგში, ეს ხდებდა სწორედ განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების გამო, მან დროებით გადადგა ეს ნაბიჯი და თითქოს დაიწყო საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ, რეალურად, მიხეილ სააკაშვილი არასოდეს ამ ცვლილებებს არ განახორციელებდა. ის, უბრალოდ, დროებით წავიდა დათმობაზე, ანუ ასე ვთქვათ, ითამაშა ადამიანების გონებაგანწყობილებებზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააკაშვილმა თავის რეალურდ მიზნებზე და განზრახვაზე უარი თქვა.

***— მოახლოვებულ ადგილობრივ არჩევნებს დაუკავშირა სააკაშვილმა დიმიტრი შაშკინის განათლების სისტემაში გადაყვანა?***

— შაშკინი საკმაოდ გამოცდილი ადამიანია პიარ-ტექნოლოგიების სფეროში. თუ დააკვირდებით, ამ ხნის განმავლობაში სულ სამი ადამიანი ტრიალებდა ყოველდღე ტელევიზიაში. დარწმუნებული ვარ, მათი მოხსენიების სიხშირე ყველაზე მაღალია. ეს არის პრეზიდენტი, შაშკინი და გიგი უგულავა. ამათზე ხშირად არც ერთი პოლიტიკოსი არ ტრიალებდა ქართულ მედიასივრცეში. შაშკინი პიარში უდავოდ ძალიან ძლიერია. აქედან გამომდინარე ის მოახერხებს სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში ძალიან ბევრ ისეთ რამეზე ისაუბროს, რომელიც ადამიანების გულის მოგებას მიეძღვნება.

***— შაშკინის ტელეეთერით ხშირი გამოჩენა იმითაც იყო განპირობებული, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სწორედ მას ჩააბარა დემოკრატიის მეორე ტალღის ხელმძღვანელობა, რომელიც სიტყვის დონეზე ბაიდენის საქართველოში ვიზიტის შემდეგ ხორციელდება...***

— გეთანხმებით. მაგრამ, ის უფრო ხშირად ჩნდებოდა, როგორც პირველადი დანიშნულებით, როგორც სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი და შემდეგ უკვე როგორც დემოკრატიულ პროცესებზე პასუხისმგებელი მინისტრი. შაშკინი თავის უშუალო მოვალეობებთან დაკავშირებით იკეთებდა პიარს. ვფიქრობ, ესეც გამიზნულად ხდებოდა. იმიტომ, რომ თვითონ შაშკინი, რომელიც ძალიან კარგად ახერხებდა იმის გაანალიზებას, რა ხდება ქვეყანაში დემოკრატიის თვალსაზრისით, იძულებული იქნებოდა ძალიან ხშირად ტყუილი ეთქვა. იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი რამ ქვეყანაში ჯერ კიდევ პრობლემურია და თანაც ძალიან სერიოზულად პრობლემური. ასე რომ, ტყუილთან დისკომფორტი, ბუნებრივია, შაშკინსაც ახასიათებს, როგორც ერთ-ერთ ჩვეულებრივ ადამიანს. ამიტომ ვფიქრობ, ის ეცდება განათლების სფეროშიც უფრო ამ თემებზე ილაპარაკოს. უფრო მეტად მოიგოს პედაგოგების და მშობლების გული. ის, რომ შაშკინისთვის ჯერჯერობით უცხოა განათლების სფერო, ჩანს მის მიერ გაკეთებული კომენტარებიდანაც: ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მასწავლებელი ასწავლიდეს და მოსწავლე სწავლობდეს. სასაცილოა. რა თქმა უნდა, განათლება არის ის სფერო, სადაც მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს და მოსწავლე სწავლობდეს. მაგრამ შაშკინმა ამ შემთხვევაში, მისი აზრით, მოახდინა, რომ უფრო ღრმად მოვლენების ანალიზი არ განევითარებინა და არც პრობლემებში შესვლა მოეხდინა. შაშკინი საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია. ის ძალიან მალე მოახდენს ადაპტირებას და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წინასაარჩევნოდ სწორედ მმართველ გუნდს შეუწყოს ხელი იმაში, რომ განათლების სფერო პრაქტიკულად მმართველი პარტიის და გიგი უგულავას მხარდამჭერი გამოვიდეს.

***— წარმატებული იყო ნიკა გვარამია განთლების მინისტრის პოსტზე? როცა ის დაინიშნა, ამბობდნენ, პროკურორი გაუშვეს განათლებაში და დაჭერების სერია დაიწყებაო...***

— არა. მე ძალიან დიდი ინფორმაცია მაქვს განათლების სფეროდან. გვარამია საკმაოდ ადამიანური თვისებებით აღჭურვილი მინისტრი გამოდგა, განსხვავებით წინა მინისტრებისაგან. როგორც ამბობენ ამ დარგის სპეციალისტები, მან საკმაოდ კარგად ჩაიხედა განათლების სფეროში და სწორედ გვარამიამ განახორციელა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. გვარამია აქტიურ პიარს არ იკეთებდა. ის აბსოლუტურად თვალს იყო მოფარებული. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. ვფიქრობ, პიარის თვალსაზრისით, გვარამია ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო მინისტრებს შორის. მე მგონი, ესეც ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო, რის გამოც ნიკა გვარამია მიუღებელი გახდა ამ გუნდისთვის. მათ არ სურდათ, რომ ნიკა გვარამია გამოჩენილიყო. სიმართლე გითხრათ, ადამიანურად, მე ნიკა გვარამიას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და ძალიან გული მწყდებოდა, რომ ის მმართველ გუნდში იყო. იმიტომ, რომ ის უდაოდ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ადამიანია. მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები მის დაცილებას მმართველი გუნდიდან და წარმატება მინდა ვუსურვო განათლების მიღებაში.

***— რაც შეეხება პოლიტიკურ ფლანგს, ქალბატონო მანანა, რა ხდება ამ დროისთვის, როცა ხელისუფლებამ სასურველი 30%-იანი ბარიერი მიიღო?***

— მე მგონი, ამ პროცესის შეფასება ჯერ ცოტა ნაადრევია. ბრძოლა ნორმალური საარჩევნო გარემოს შესაქმნელად ჯერ კიდევ წინ არის და გრძელდება.

# მერიამ ნაძვის ხეების მოჭრა უნდა აღკვეთოს

შორენა გონგლაძე

ეკოლოგიური სამართლის ცენტრი მოუწოდებს გარემოს დაცვის სამინისტროს და ქალაქის მერიას არ დაარღვიონ კანონი და არ დაუშვან უკანონოდ ნაძვის ხეების მოჭრა, ეკოლოგიური სამართლის ცენტრის იურისტის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, თუკი ასეთ კანონდარღვევას ადგილი ექნება, ისინი სასამართლოს მიმართავენ.

— 2010 წლის გაზაფხულისთვის დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ხელისუფლება ცდილობს, რომ არჩევნებისთვის რაც შეიძლება მეტი ხმა მოიპოვოს და სოციალურად დაუცველი ფენების კთილგანწყობა დაიმსახუროს, ამისთვის ის ხუჭავს თვალს იმ კანონდარღვევებზე, რომელსაც ჩვენი ინფორმაციით ადგილი ექნება საახალწლოდ, როგორც მოგეხსენებათ, არის ასეთი ტენდენცია, რომ საახალწლოდ იჭრება ნაძვისხეები და ხდება მათი რეალიზაცია. ჩვენ წერილითაც მივმარეთ გარემოს დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიას, რომ კეთილი ინებონ და აღკვეთონ ასეთი ფაქტები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი აპირებენ ამაზე თვალის დახუჭვას, ვინაიდან მათ უნდათ, რომ დაიმსახურონ სოციალურად დაუცველი ფენების კეთილგანწყობა, ჩვენ პრევენციის სახით გავაგზავნეთ წერილები, რომ ასეთი რამე არ მოხდეს, ვინაიდან ეს კანონით დაუშვებელია და ვაფრთხილებთ მათ, თუკი ასეთი რამე მოხდება, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს. ჩვენ გვყავს ჩვენი ჯგუფები, რომლებიც შეამოწმებენ სტუაციას ადგილზე, სადაც გაიყიდება ეს ნაძვისხეები და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება ამას ჩვენგან. ჩვენ გარემოს დაცვის სამინისტროს მოვუწოდებთ, რომ არ დაარღვიონ კანონი. — აცხადებს მჟავანაძე.

# განცხადება აუქციონის შესახებ

2009 წლის 18 დეკემბერს 11:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ტარას“ (მისამართი: მის.: თბილისი, ყიფშიძის ქ. 7, ს/ნ 202197005 ) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

- მის.: თბილისი, ბარისახოს ქ. 15, საკადასტრო კოდი 01.11.01.011.004, დაზუსტებული ფართობი 110 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი №1;
- მის.: თბილისი, ბარისახოს ქ. 15, საკადასტრო კოდი 01.11.01.011.002, დაზუსტებული ფართობი 1808 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი №1, №2, №3;

გასაყიდად გამოტანილი უძრავი ნივთების საწყისი ფასია 524 510 (ხუთასოცდაოთხიათას ხუთასათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს □თიბისი ბანკი□.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს □თიბისი ბანკის□ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**

**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №§**





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

# მელვინეთუხუცესი კაზანოვად იქცა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ინგლისელი რეჟისორი ჰილარი ვუდი რამდენიმეთვიანი რეპეტიციების შემდეგ მაყურებელს ტენეს უილიამსის „კამინო რიალს“ შესთავაზებს. სპექტაკლი თეატრალურ ფესტივალ „საჩუქრის“ ფარგლებში იმართება.



როგორც რეჟისორი აცხადებს, კამინო რიალი არის სამეფო გზა, რომელიც ოდესღაც უძველეს აცტეკ მეფეებს ეკუთვნოდათ. ტენესი უილიამსის ფანტაზიით ამ გზის დასასრული წარმოდგენილია ქვის გალავნით შემოზღუდულ ქალაქად, საიდანაც გზა უკვე აღარსად მიდის. იქით არსებობს მხოლოდ ტერა ინკოგნიტა. მასთან მისასვლელად კი მეტად საშიში უდაბნოს გავლაა საჭირო.

— ეს ნამდვილი ამერიკული პიესაა, ამერიკული თეატრის ესთეტიკით შექმნილი, ძალიან სასაცილო, საკმაოდ მწვავე და გესლიანი და ამასთანავე, პოეტური. ამ პიესით გამოვხატე უსაზღვრო სიყვარული ევროპისა და ევროპული ლიტერატურის მიმართ, რომელსაც მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ვეტრფი, — აცხადებს ჰილარი ვუდი.

ლათინოამერიკული ქალაქი კამინო რეალი დრამატურგ ტენესი უილიამსის გამოგონილია. სპექტაკლში ისეთი ლიტერატურული გმირები არიან გაერთიანებული, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში კავშირი ერთმანეთთან არასოდეს ჰქონიათ. სპექტაკლის პერსონაჟები ცნობილი ლიტერატურული გმირები არიან. წარმოდგენაში კინომსახიობთა თეატრის თითქმის მთელი დასია დაკავებული: ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, გიორგი ყიფშიძე, პაატა ბარათაშვილი, გია აბესალაშვილი, თამრი ბზიავა, რამაზ იოსელიანი, გიორგი ნაკაშიძე, ზაზა მიქაშავიძე, დარეჯან ჯოჯუა, ნინო ჩხეიძე, მზია არაბული.

ინგლისელმა რეჟისორმა თეატრში საგანგებოდ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები გურანდა გაბუნია და ოთარ მელვინეთუხუცესი მოიწვია. ჰილარი ვუდმა ოთარ მელვინეთუხუცესი კაზანოვას როლზე აიყვანა. სპექტაკლის რეჟისურასთან ერთად, ინგლისელმა რეჟისორმა მის მუსიკალურად გაფორმებაზეც იზრუნა. მხატვრობა შოთიკო გლურჯიძეს ეკუთვნის, ხოლო წარმოდგენის პროდიუსერი ქეთი დოლიძეა.

„კამინო რეალის“ პრემიერა კინომსახიობთა თეატრში 10, 11 და 12 დეკემბერს გაიმართება. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 12 ლარია.

# რუსთაველის თეატრში მსოფლიო პრემიერა გაიმართება

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება.

თეატრის მცირე სცენაზე ამერიკელი რეჟისორი ჯონათან ლევი თეატრში მისულ საზოგადოებას მუსიკალურ დრამას „სხეულთა ვარდნას“ შესთავაზებს, რომელშიც მთავარ როლებს თათული დოლიძე და ლელა ალიბეგაშვილი შეასრულებენ. სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ ოპერისა და ბალეტის თეატრის მუსიკოსები ლელა მჭედლიძე, ქეთევან შანიძე, ნიკა გვრიტიშვილი, ბრუს ტეილორი და თემურ ნინუა. ჯონათან ლევის პიესა თამარ ჯაფარიძემ თარგმნა, სპექტაკლის მხატვარი თემურ ნინუაა, ხოლო რეჟისორის თანაშემწე რუსუდან ბარბაქაძეა.

ამერიკელი მწერალი და რეჟისორი ჯონათან ლევი თბილისში რობერტ სტურუას მოწვევით ჩამოვიდა. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ამერიკელ რეჟისორს თავად შესთავაზა თეატრის მცირე სცენაზე დაედგა მის მიერვე დაწერილი პიესა „სხეულთა ვარდნა“. ამ სპექტაკლის საკონცერტო ვერსია უკვე განხორციელდა იტალიასა და ამერიკაში, სადაც წარმოდგენამ დიდი წარმატება მოიპოვა.

სპექტაკლის სიუჟეტის თანახმად, 1993 წლის ზამთარში, ომისგან დაბნეული და დაქანცული ორი ქალი თავს დანგრეულ თეატრს აფარებს. ნანგრევებს შორის ორი იტალიელი მეცნიერის გალილეო გალილეისა და პრიმო ლევის შესახებ ბიოგრაფიულ წიგნებს აღმოაჩენენ და მათი გარდასახვაც მოხდება. მალე ირკვევა, რომ თეატრში მათ გარდა სამი მუსიკოსიც ცხოვრობს. ისინი თავიანთ სათქმელს მუსიკით გადმოსცემენ და მსახიობებთან ერთად გადარჩენისთვის იბრძვიან.

ამერიკელი რეჟისორის ჯონათან ლევის სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „სხეულთა ვარდნის“ მსოფლიო პრემიერა რუსთაველის თეატრში 11 დეკემბერს გაიმართება.

**რობერტ სტურუა, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

— სპექტაკლი ჟანრობრივად ძალზე საინტერესოა, იგი მუსიკალურად მაქსიმალურად არის დატვირთული. ჯონათან ლევის სპექტაკლი უკვე დაიდგა ამერიკასა და იტალიაში და დიდი აღიარებაც მოიპოვა. მისი ნაწარმოებები უცხოეთში ძალიან პოპულარულია. ეს არის ძალიან საინტერესო პიესა ორი სხვადასხვა ეპოქის ადამიანზე — გალილეო გალილეისა და პრიმოდევიზე. სპექტაკლი ძალიან სწრაფად, 23 დღეში დაიდგა და პრემიერაზე მოსულ მაყურებელს დიდი სიამოვნება ელოდება.

**ჯონათან ლევი, ამერიკელი რეჟისორი:**

— ამ სპექტაკლმა მომცა საშუალება, ბრწყინვალე მსახიობებთან და მუსიკოსებთან მემუშავა. სპექტაკლში მოქმედება თეატრის ნანგრევებში 90-იანი წლების ომის დროს ხდება, ამიტომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სპექტაკლი ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს.

# საფორტეპიანო მარათონი გერმანიის დღეებს დახურავს

ეკა ირემაშვილი

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2009 წელი ამიერკავკასიაში გერმანიის დღეებად გამოაცხადა. გერმანიის დღეები საქართველოში მთელი წლის განმავლობაში აღინიშნებოდა. წლის ბოლოს გერმანიის დღეები ჩვენს ქვეყანაში საფორტეპიანო მარათონით დაიხურება. ამ მარათონის ორგანიზატორი გოეთეს ინსტიტუტია. იგი საფორტეპიანო მუსიკის მოყვარულებს ახალ და საინტერესო ფორმატს წარუდგენს — ექვსი სახელოვანი პიანისტი გერმანიიდან, საქართველოდან და სომხეთიდან მსმენელის თვალწინ საფორტეპიანო მუსიკის 300 წლიან ისტორიას გააცოცხლებენ.

ღონისძიებაზე ორგანიზატორთა მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული იქნება მრავალფეროვანი კომპოზიციები. კონცერტი გაიხსნება და დასრულდება ლეონარდ ბერნშტაინის კომპოზიციით „თუ ნაით“, რომელიც 12 ხელში ორ როიალზე შესრულდება. მარათონში მონაწილეობას მიიღებენ შტეფენ შლაიერმახერი და გრაუ-შუმახერის საფორტეპიანო დუეტი (გერმანია) ანი ტაკიძე და ინა ჭარუაშვილი (საქართველო) და არეგ სარგსიანი (სომხეთი). საფორტეპიანო მარათონი ოთხი განყოფილებისგან შედგება და ოთხ საათს გაგრძელდება.

საფორტეპიანო მარათაონი საქართველოში გერმანიის დღეების ბოლო ღონისძიება და მისი კულმინაციაა. საფორტეპიანო მარათონი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში 12 დეკემბერს გაიმართება.

# ჯგუფი „სანდა“ საფრანგეთში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩვენ საპროდიუსერო-საპრომოუტერო კომპანია ვართ. ჩვენი მიზანია ქართული ჯგუფების ხელშეწყობა და მათი საზღვარგარეთ გაგზავნა.

ჯგუფი „სანდა“ ყველაზე სტაბილური, ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ჯგუფია. მთლიანობაში მათ საფრანგეთში 5-6 კონცერტის ჩატარება მოუწევთ. საფრანგეთში „სანდა“ მარტის დასაწყისში ჩავა. ახლა ოფიციალურ წერილს ველოდებით ჩვენს კომპანიაში და ვაზუსტებთ დეტალებს, რაც გასტროლისთვის უმნიშვნელოვანესია. გვინდა ჯგუფთან დაკავშირებით მაქსიმალური ვიდეო-აუდიო და ვიზუალური მასალა მოგროვდეს პიარისთვის. სწორედ ამიტომ ამ უმნიშვნელოვანესი გასტროლის წინ მაგთიკლუბში ჩვენ ჯგუფ „სანდას“ სოლოკონცერტს ვატარებთ, სადაც ისინი საკუთარ კომპოზიციებთან ერთად ცნობილი უცხოური ჯგუფების ქოვერებსაც შეასრულებენ.

***— სხვა ქართულ ჯგუფებს თუ გაუშვებთ გასტროლებზე?***

— რა თქმა უნდა. ჩვენი კომპანიის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენ მომავალში ჩვენს უცხოელ პარტნიორებს სხვა ქართულ ჯგუფებსაც აუცილებლად შევთავაზებთ.

**ირაკლი ლომსაძე, ჯგუფი „სანდა“:**

— ჩვენი ჯგუფი 1993 წლსი 6 თებერვლიდან არსებობს. ჩვენი ჯგუფი 1997 წელს დაიშალა და განვაახლეთ მუშაობა 2005 წლის ბოლოს. ჩვენ ოთხი ალბომი გვაქვს გამოშვებული, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. პროდიუსირებას და ჩაწერას ვახერხებდით ჩვენი სახსრებით, ამდენად, გავრცელება და ტირაჟირების შესაძლებლობა საქართველოში ძალიან მცირეა და ჩვენი ალბომების შესახებ მხოლოდ ვიწრო წრისთვის არის ცნობილი.

***— როგორია თქვენი მუსიკალური მიმდინარეობა?***

— ჩვენ ვუკრავთ სოფტ როკს, ალტერნატიულ ელექტრონულ მუსიკას და გარკვეულწილად ჩვენს რეპერტუარში ფოლკის ელემენტებიც არის. ახლა ჩვენი ჯგუფის შემადგენლობაში ვართ სოსო საყვარელიძე (ვოკალი, გიტარა), ნათია ნამგალაური (ვოკალი), დიმიტრი ასატუროვი (დასარტყამი ინსტრუმენტები), ვანო ხიმშიაშვილი (ბას გიტარა), ზურა ლანჩავა (ლიდერ გიტარა) და მე, თქვენი მონა-მორჩილი ირაკლი ლომსაძე (კლავიში).

***— ასეთი მნიშვნელოვანი გასტროლი გქონიათ?***

— არა. საფრანგეთის გასტროლი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ეს არის ჩვენი პირველი გრანდიოზული გასტროლი და იმედია, არაუკანასკნელი. ამ დონის გასტროლი არ გვქონია, თუმცა, საინტერესო გასვლები გვქონდა.

***— რას დაუკრავთ მაგთიკლუბში?***

— მაგთიკლუბში დავუკრავთ პინქ ფლოიდის რვა ქავერს, ასევე სინდი ლოუპერის კომპოზიციას, დევიდ ბოუვის კომპოზიციას. ჩვენს კონცერტზე სხვადასხვა მიმართულებისა და ჟღერადობის მუსიკას დავუკრავთ. რაც მთავარია, ჩვენი ათი ახალი კომპოზიციის პრემიერაც შედგება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მაგთიკლუბის კონცერტი ჩვენი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის ერთგვარი ტრამპლინი იქნება.

ჯგუფ „სანდას“ სოლოკონცერტი მაგთიკლუბში 12 დეკემბერს გაიმართება.

# ქალთა პრობლემებს დოკუმენტური ფილმები მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

საფრანგეთის საელჩოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით გენდერული ძალადობის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში ქალთა პრობლემებისა და გენდერული საკითხებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ციკლის ჩვენება მოეწყო.

ალექსანდრე დიუმას ცენტრში ღონისძიება ეგიდით „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ მოეწყო, რომელშიც სამი ფილმი — ლევან კოღუაშვილის „ქალები საქართველოდან“, ზურაბ ინაშვილის „გემღერებოდეს, დედაო“ და ლიანა ჯაყელის „უჩინარი“ იყო წარმოდგენილი. სამივე ფილმი ქართველ ქალთა ცხოვრების პრობლემატურ ასპექტებს ასახავს — საქართველოში აზერბაიჯანელი ქალების ცხოვრებას, დედებისა და ქალების მიერ მოთხრობილ ისტორიებს. ფილმების ჩვენებას საქართველოში საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიეც დაესწრო.

ქართველი რეჟისორების მიერ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით გადაღებული დოკუმენტური ფილმები ფრანგული კულტურის ცენტრში 10 დეკემბრამდე იქნება ნაჩვენები.

# საოპერო მომღერლებს ჩანაწერთა არქივი ექნებათ

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ცნობილ მომღერალთა ჩანაწერების შექმნის პროექტს განახორციელებს. ეს პროექტი უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავების აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მომზადებას გულისხმობს.

უცხოეთში მოღვაწე საოპერო მომღერლების არქივის შექმნაში მონაწილეობას ოპერის თეატრის გუნდი და ორკესტრიც მიიღებს. მათი დახმარებით ქართველ მომღერალთა ღირებული და მაღალხარისხიანი ორიგინალური ჩანაწერები შეიქმნება.

არქივისთვის პირველ ჩანაწერებს თბილისში მყოფი გამოჩენილი საოპერო მომღერალი, ბარიტონი ლადო ათანელი იქნება, რომელიც თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად დავით მუქერიას დირიჟორობით რევაზ ლაღიძის „ჰიმნი ქუთაისს“, ნოდარ გაბუნიას „ჩემი ცისკრის ვარსკვლავი ხარ“ და იაკობ ბობოხიძის „სიმღერას საქართველოზე“ ჩაწერს.

პროექტის ფარგლებში ოპერისა და ბალეტის თეატრი პაატა ბურჭულაძის, თამარ ჯავახიშვილის, იანო ალიბეგაშვილის, ზურაბ სოტკილავას, მაყვალა ქასრაშვილის, გიორგი გაგნიძის, ეთერ და ნატო ჭყონიების და უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველი ვარსკვლავების ჩანაწერების არქივსაც შექმნის.

# ჩინელმა იმიგრანტმა იაპონიაში მოსახვედრად თითის ანაბეჭდები შეიცვალა



იაპონიის პოლიციის განცხადებით, ჩინელმა იმიგრანტმა ქალმა ქვეყანაში შეღწევა პლასტიკური ოპერაციის წყალობით შეძლო — კერძოდ, მან თითების ანაბეჭდი შეიცვალა და ამ გზით საიმიგრაციო კონტროლის გავლა მოახერხა.

27 წლის ჩინელი ლინ ჟუნი გასულ წელს იაპონიაში ყალბი პასპორტით მოხვდა, მაგრამ იაპონელ მოქალაქესთან ფიქტიური ქორწინებისათვის იგი მხოლოდ ნოემბერში დააკავეს. დაკავების შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მის თითებზე არაბუნებრივი ნაჭრილობევები შენიშნეს. როგორც გაირკვა, მანამდე იგი იაპონიიდან ჩინეთში სავიზო რეჟიმის დარღვევისათვის დაუბრუნებიათ. როგორც იაპონური მედია აღნიშნავს, დეპორტაციის შემდეგ ქალმა ჩინელ კოსმეტიკურ ქირურგებს მიმართა, რომლებმაც თითებზე კანის ფრაგმენტებს ადგილი მოუნაცვლეს და ამ გზით თითის ანაბეჭდები შეცვალეს.

შედეგად იმიგრანტმა იაპონიაში დაბრუნება შეძლო. აეროპორტებში უსაფრთხოების სისტემა ჩამოსული უცხოელების თითების ანაბეჭდებს მანამდე დეპორტირებული ადამიანებისა და კრიმინალების მონაცემთა ბაზებს ადარებს.

დაპატიმრების შემდეგ ლინ ჟუნმა პოლიციაში აღიარა, რომ ოპერაცია მას 100 ათასი იუანი, ანუ 14.5 ათასი დოლარი დაუჯდა. პოლიციის განცხადებით, ეს შემთხვევა უნიკალური სულაც არ არის. ჩინეთში ფართოდ არის გავრცელებული არალეგალური ბიზნესი, რომელიც ნებისმიერ მსურველს თითების ანაბეჭდის შეცვლის შესაძლებლობას აძლევს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## განცხადებები

● სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# ბაიერნფესტი სტადიო ოლიმპიკოზე

## რუსული არმია შესა ლოა ლიგიდან მოკვეთონ

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვინითი ტურის პირველ დღეს ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი. სწორედ ამიტომ გულშემატკივრები უშეღავათო ბრძოლებს ელოდნენ, თუმცა, ისე მოხდა, რომ მოულოდნელი შედეგებიც დაფიქსირდა.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს „ა" ჯგუფის ტურინული მატჩი იწვევდა, სადაც „იუვენტუსი" მიუნხენის „ბაიერნს" მასპინძლობდა". ტურინელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ — წაგების გარდა ნებისმიერი შედეგი აწყობდათ ხელს. ამის გამო სპეციალისტებიც, თვით ბავარიული კლუბის გულშემატკივრებიც „იუვენტუსის" მერვედფინალში გასვლას ელოდნენ. საქმე ის არის, რომ ეს გუნდები ბევრჯერ გადაყრიან ერთმანეთს ევროტურნირებზე და აქამდე ბავარიელებს ტურინში თამაში ჯერ მოგებული არ ჰქონდათ. ახლა კი, როდესაც „ბაიერნს" არცთუ კარგი დროება უდგას ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივრებიც ვერ იყვნენ იმედიანად, მაგრამ „ბაიერნს" ჰყავს კაცი, რომელსაც შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს — ლუის ვან გაალი.

სწორედ, ჰოლანდიელი სპეციალისტის დამსახურებაა, რომ „ბაიერნმა" ტურინში ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია. მიუნხენელთა ერთადერთი იმედი ის იყო, რომ „იუვენტუსს" დაცვაში არ ეყოლებოდა ჯორჯო კიელინი, მაგრამ როგორც მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, მასპინძლებს დაცვა საერთოდ არ ჰყავდა. იმის მიუხედავად, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში თანაბარი იყო, სტუმრები ერთი თავით ძლიერები გამოიყურებოდნენ. უკვე მე-12 წუთზე ივიცა ოლიჩის დარტყმის შემდეგ ჯან ლუიჯი ბუფონის კარი ძელმა იხსნა. ამის შემდეგ, „იუვენტუსი" ცოტა გონს მოეგო და გოლის გატანაც მოახერხა — მარკო მარკიზიოს ჩაწოდების შემდეგ დევიდ ტრეზეგემ ეფექტური გოლი გაიტანა და ტრიბუნაზე მსხდომი გულშემატკივარი დაამშვიდა — ბავარიელებს უკვე აუცილებლად სჭირდებოდათ 2 გოლი, რაც „იუვენტუსის" კარში არცთუ იოლი გასატანია. თუმცა, ამის გაკეთება „ბაიერნს" ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. მოუსვენარმა ივიცა ოლიჩმა პენალტი გამოიმუშავა, რომელიც ზუსტად დაარტყა... დიახ, პენალტი ზუსტად დაარტყა „ბაიერნის" მეკარე ჰანს იორგ ბუტმა.

აქვე გეტყვით, რომ ბუტმა „იუვენტუსს" უკვე მესამედ გაუტანა.

ტაიმის ბოლომდე დარჩენილ 15 წუთში კი „იუვენტუსი" განადგურებას გადაურჩა (თუმცა დროებით). ორჯერ ბასტიან შვაინშტაიგერს, ორჯერ ოლიჩს და ერთხელაც მარიო გომესს გოლების გატანა მართებდათ.

რაც პირველ ტაიმში ვერ მოახერხა „ბაიერნმა" მეორეში შეძლო. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვერც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ჯიჯი ბუფონი იდგა სათანადო სიმაღლეზე. 52-ე წუთზე დანიელ ვან ბუიტენის თავური ტურინელთა მეკარემ ცხვირწინ მოიგერია, სადაც პირველი ოლიჩი გაჩნდა და ანგარიში უკვე „ბაიერნისთვის" სასურველ კალაპოტში გადაიყვანა.

ამოცანის შესრულების შემდეგ „ბაიერნმა" ტემპი დააგდო და უფრო კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, თუმცა, ამ წუთებშიც კი მეტოქეზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. რაც დრო გადიოდა, ტურინელებს სულ უფრო ნაკლები შანსი რჩებოდათ, ხოლო „ჩქაროსნული" არიენ რობენის მოედანზე გამოჩენის შემდეგ, უკვე სტუმართა კონტრშეტევების შეჩერებაც მძიმედ უხდებოდათ. ბოლო 10 წუთი კი მასპინძლებს კოშმარად ექცათ. ვან ბუიტენის თავური ჯიჯიმ ისევ უხერხულად მოიგერია და ამჯერად მარიო გომესმა დაამატა, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა ანატოლი ტიმოშჩუკმა საჯარიმოს ხაზიდან „დახვრიტა" ტურინელთა მეკარე — 1:4 და „ბაიერნი" მერვედფინალშია, ხოლო „იუვენტუსმა" ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა.

ჯგუფის მეორე მატჩი ჩვენთვის უფრო იმით იყო საინტერესო, ვიხილავდით თუ არა ქართულ გოლს მიმდინარე ლიგის გათამაშებაში. ვლადიმერ დვალიშვილის „მაკაბი" შინ მეორე შემადგენლობით ჩასულ „ბორდოს" დაუხვდა. ბორდოელებს საქმე მოლეული ჰქონდათ და მწვრთნელხელმძღვანელობამ ებრაელ ფეხბურთელებს შანსი მისცეს, ჩემპიონთა ლიგის ანტირეკორდი არ დაემყარებინათ, მაგრამ მეორე შემადგენლობამაც პირველზე არანაკლებად ითამაშა და „მაკაბი" პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ისე დაასრულა, რომ გოლიც კი არ გაუტანია. თამაში კი სტუმრებმა ჟუსის ერთადერთი გოლით მოიგეს. დვალიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს.

„ბ" ჯგუფში ბორდოელებზე უფრო უცნაური განაცხადით ჩავიდა ვოლფსბურგში „მანჩესტერ იუნაიტედი". ინგლისელთა 19-კაციან განაცხადში 2 მეკარე, 3 თავდამსხმელი, 13 ნახევარმცველი და მხოლოდ 1 მცველი იყო. ეს ყველაფერი მასპინძლეთა წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ „მგლებმა" ეს შანსი ვერ გამოიყენეს და 1:3 დამარცხდნენ.„მგლებზე" უფრო მგელი მაიკლ ოუენი გამოდგა, რომელმაც ჰეთ-ტრიკი შეასრულა და ის დრო გაიხსენა, როდესაც ჩვეულად ბრწყინავდა, მასპინძელთა ერთადერთი გოლი ბოსნიელი ედინ ჯეკოს ანგარიშზეა.

ვოლფსბურგელთა მარცხი კარგად გამოიყენა მოსკოვის ცსკამ. არმიელები „ბეშიქთაშ" სტუმრობდნენ და თუ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში გასვლა სურდათ ვოლფსბურგელებზე მეტი ქულა უნდა დაეგროვებინათ. როდესაც გერმანიაში ტაბლოზე ფრე იყო, სწორედ მაშინ დაწინაურდა ცსკა მილოშ კრასიჩის გოლით, ხოლო როდესაც მაიკლ ოუენმა მეორედ დააწინაურა „მანჩესტერი", მაშინ „ბეშიქთაშმა" გაათანაბრა და შანსი უკვე თურქულ კლუბსაც გაუჩნდა. „ბეშიქთაში" მოსაგებადაც გაიქაჩა და სწორედ ამ დროს არმიელებმა კონტრშეტევაზე დაიჭირეს და ალდონინის გოლით 2:1 მოიგეს.

ცსკა „მანჩესტერთან" ერთად მერვედფინალში გააგრძელებს ბრძოლას, „ვოლფსბურგი" კი ევროპის ლიგაზე გადაერთვება.

„ც" ჯგუფში გარკვეული არაფერი იყო, თუმცა, მადრიდის „რეალი" და „მილანი" ფრანგულ „მარსელზე" უკეთეს შანსს ფლობდნენ. მილანელებს „ციურიხის" დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდათ, ხოლო „რეალს" 3 და მეტი ბურთით არ უნდა წაეგო „მარსელთან". თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი პროგნოზირებადი არ არის და „აწყობილი" საქმე კინაღამ ხუხულასავით დაინგრა. ამის მიზეზი კი პირველ რიგში „მილანი" იქნებოდა, რომელმაც ამ გათამაშებაში უკვე მეორედ ვერ მოახერხა „ციურიხის" დამარცხება.



29-ე წუთზე მილან გაიჩმა ულამაზესი გოლი გაიტანა საჯარიმო დარტყმით და „მილანი" ცუდ დღეში ჩააგდო. „მარსელის" ნებისმიერი ანგარიშით მოგებისას მილანელებს უკვე ორი გოლის გატანა სჭირდებოდათ. პირველ ტაიმში მარკო ბორიელო შეეცადა ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ მისი ეფექტური დარტყმა მიზანში არ წავიდა. ეს იყო და ეს.„მილანი" ვალდებული იყო, ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაეთანაბრებინა, მაგრამ ეს მხოლოდ მოგვიანებით გააკეთა. ჯერ მასიმო ამბროზინის უმტყუნა მიზანმა, შემდეგ კი — რონალდინიოს, თუმცა, მატჩის დაწყებიდან საათის მიწურულს ბრაზილიელმა 11 მეტრიდან მაინც იხეირა. ამ პენალტს შვეიცარიელი ფეხბურთელის გაგდებაც მოჰქვა, ამასობაში კი პარალელურ მატჩში „რეალიც" დაწინაურდა და ლეონარდოს ბიჭებმაც თავი უფრო კომფორტულად იგრძნეს.

კახა კალაძე სათადარიგოთა შორის იყო, მაგრამ თამაშში უკვე მე-20 წუთზე ჩაერთო ტრავმირებული ტიაგო სილვას ნაცვლად. დაცვაში მაინცდამაინც ბევრი სამუშაო არ ჰქონდა, ხოლო ერთ მომენტში სტანდარტული სიტუაციისას შეტევაშიც ჩაერთო და შეეძლო გოლიც გაეტანა.

„რეალმა" კი უპრობლემოდ იმარჯვა და ამით „მილანს" აუნთო მწვანე შუქი. მატჩის მე-5 წუთზე კრიშტიანუ რონალდუმ საფირმო ჯარიმა შეასრულა და ულამაზესი გოლი გაიტანა, რასაც 5 წუთში ლუჩო გონსალესის გამთანაბრებელი მოჰყვა. მეორე ტაიმში კი „სამეფო კლუბი" რაულ ალბიოლმა დააწინაურა. გონსალესს კიდევ ერთხელ შეეძლო გაეთანაბრებინა, მაგრამ მისი პენალტი ხარიხამ აისხლიტა, რის გამოც რონალდუმ კიდევ ერთხელ დასაჯა მასპინძლები — 3:1.

„რეალი" და „მილანი" მერვედფინალში ითამაშებენ, „მარსელი" ევროპის ლიგაზე მოსინჯავს ძალებს.

„დ" ჯგუფში კვიპროსულ აპოელს არც „ჩელსი" დახვედრია მთლად ოპტიმალური შემადგენლობით, მაგრამ მოგება მაინც მართებდა. მართალია, დასაწყისშივე დაწინაურდნენ სტუმრები მარცინა ჟევლაკოვის გოლით, მაგრამ უკვე 20 წუთში წინ მასპინძლები იყვნენ. გოლები მაიკლ ესიენმა და დიდიე დროგბამ გაიტანეს. ლონდონელები ბოლო წუთებამდე იგებდნენ, მაგრამ ჯონ ტერიმ უპატიებელი შეცდომა დაუშვა და ნენად მიროსავლევიჩმა ანგარიში გაათანაბრა. ლონდონში მოპოვებული ფრით კვიპროსელებმა იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც მადრიდის „ატლეტიკომ", მაგრამ ევროპის ლიგაზე გადასასვლელად ურთიერთშეხვედრებში შინ მიღებული გოლი საბედისწერო აღმოჩნდა.

„ატლეტიკომ" კი მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა და შინ 0:3 განადგურდა „პორტუსთან".

პორტუგალიელებმა ბრუნო ალვეშის, ფალკაოსა და ჰალკის გოლები იკმარეს და რამდენიმე მომენტი კიდევ გააცუდეს.

„ჩელსი" და „პორტუ" ამ ჯგუფიდან უკვე დიდი ხნის წინ იყვნენ პლეი-ოფში გასულები, ხოლო ევროპის ლიგაზე „ატლეტიკო" გადაერთვება.

პ.ს. მართალია, მოსკოვის ცსკამ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ მათი სიხარული შესაძლოა ნაადრევი აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ „ბეშიქთაშთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია არმიელთა 2 ფეხბურთელს — ალექსეი ბერეზუცკის და სერგეი იგნაშევიჩს, რომელთაც „მანჩესტერთან" გამართული მატჩის შემდეგ სისხლში აკრძალული პრეპარატები აღმოუჩინეს და დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

უეფას რეგლამენტის თანახმად კი თუ გუნდში ერთ ფეხბურთელზე მეტს დოპინგზე ამხელენ, შესაძლოა, დისკვალიფიკაცია მიესაჯოს. თავად რუსული კლუბი აცხადებს, რომ სამედიცინო შტაბის წევრებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც უეფას შესაბამის ორგანოებს თავის დროზე ფეხბურთელების პრეპარატ სუდაფედით მკურნალობის შესახებ დროულად არ აცნობეს.

ასეა თუ ისე, 17 დეკემბერს უეფას შტაბ-ბინაში ამ ფაქტის მოსმენა შედგება და იქ გაირკვევა არმიელთა მომავალი ბედი.

# პლატინიმ საქართველო-რუსეთი ერთად უარყო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ინვენტარი, მოედნების მოწყობა და მსგავსი საკითხებია. ვთხოვეთ, დაგვიდგნენ გვერდით სამუშაო პროცესში, გვასწავლონ, როგორ უნდა გავაკეთოთ კონკრეტული საქმე და არ შემოიფარგლონ მარტო რჩევებით. უკეთესი იქნება თუ მონაწილეობას მიიღებენ უშუალოდ პროექტების განხორციელებაში.რაც შეეხება 17 და 19-წლამდელთა ნაკრების კენჭისყრას, კარგია, რომ 17-წლამდელთა ნაკრები თბილისში ითამაშებს, იგივე გვინდოდა გაგვეკეთებინა 19-წლამდელთა ნაკრებზეც, მაგრამ აზერბაიჯანმა მხარი არ დაგვიჭირა. ელიტ-რაუნდის მასპინძლობა რომ გვეთავა, არც ერთ ქვეყანას არ სურდა. მათ შორის არც უკრაინას.

რაც შეეხება ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს. თემურ ქეცბაიასთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს და საქართველოში 17 დეკემბერს ჩამოვა. უკვე შევარჩიეთ ერთი მეტოქე ორივე ნაკრებისთვის. 3 მარტს ეროვნული გუნდი ამხანაგურ მაჩს გამართავს ესტონეთის ნაკრებთან. ეროვნული ნაკრები ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს, ამავე დღეს კი ახალგაზრდულები იმავე ესტონეთს „მიხეილ მესხზე" გაეჯიბრებიან. დანარჩენი ამხანაგური მატჩების საკითხს კი 7 თებერვლის კენჭისყრის შემდეგ განვიხილავთ.

**რევაზ არველაძე:**

— გავიმეორებ და ვიტყვი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი ამ ვიზიტისა მომავალ წელს საქართველოში მიშელ პლატინის ჩამოსვლაა და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურებს მხარდაჭერას. ამის გარდა, კიდევ გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები. იგივე ნაკრების მატჩების სატელევიზიო ტრანსლაციების საკითზე კომპანია „ინფრონტთან", რომლის ვალი გვაქვს 750.000 დოლარი. ეს არის სეხი, რომელიც ეტაპობრივად უნდა დაიფაროს. საუბრები გვქონდა აგრეთვე ნაკრების ეკიპირების თაობაზე და შევეცდებით ჩვენთვის ხელსაყრელი კონტრაქტი გავაფორმოთ, რათა სასურველი ამუნიცია მისაღებ ფასებში გვქონდეს. შეგვეძლო, მთელი აქცენტი 17-წლამდელთა ელიტ-რაუნდის მასპინძლობაზე გადაგვეტანა, მაგრამ არანაირი გარანტია არ გვქონდა, რომ მას მოვიპოვებდით და ამიტომ დავაყენეთ ჩვენი კანდიდატურა მომავალი შესარჩევი ეტაპის მასპინძლობაზე. გეტყვით იმასაც, რომ მიშელ პლატინისთან საუბრისას გადაწყდა, 7 თებერვლის კენჭისყრისას საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების ერთ ჯგუფში მოხვედრა გამორიცხულია, ისევე როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებებისა.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ევროპის ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-პორტუ | 0:3 |
| ბეშიქთაში-ცსკა | 1:2 |
| ვოლფსბურგი-მანჩესტერი | 1:3 |
| მაკაბი-ბორდო | 0:1 |
| მარსელი-რეალი | 1:3 |
| ციურიხი-მილანი | 1:1 |
| ჩელსი-აპოელ | 2:2 |
| იუვენტუსი-ბაიერნი | 1:4 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 0:2 |
| დონკასტერი-უენსდი | 1:0 |
| იფსვიჩი-პიტერბრო | 0:0 |
| ლესტერი-ბრისტოლი | 1:3 |
| პრესტონი-დერბი | 0:0 |
| სუონსი-პლიმუთი | 1:0 |
| შეფილდი-ნოტინგემი | 0:0 |
| მიდლსბრო-ბლექპული | 0:3 |
| რედინგი-კრ.პალასი | 2:4 |

### იტალია. სერია ბ

| | |
|---|---|
| გროსეტო-ალბინოლეფე | 2:2 |
| რეჯინა-სასუოლო | 0:2 |
| სალერნიტანა-ემპოლი | 1:0 |
| ფროსინონე-ბრეშა | 1:0 |

### არგენტინა პრიმერა

| | |
|---|---|
| ურაკანი-ბოკა | 0:0 |
| კოლონი-გოდოი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-არგენტინოსი | 1:1 |

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ტორონტო-მინესოტა | 94:88 |
| შარლოტი-დენვერი | 107:95 |
| ბოსტონი-მილუოკი | 98:89 |
| მემფისი-კლივლენდი | 111:109(ოტ) |
| ნიუ ორლეანი-საკრამენტო | 96:94 |
| ჩიკაგო-ნიუ ჯერსი | 101:103 |
| დალასი-ფინიქსი | 102:101 |
| კლიპერსი-ორლანდო | 86:97 |

### ევროთასი

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ხუვენტუდი | 73:86 |
| ტრიუმფი-ვალენსია | 59:67 |
| უნიქსი-ბონი | 76:64 |
| დინამო(მ)-ბენეტონი | 74:86 |
| ნიმბურკი-ბროზე | 71:66 |
| სპარტაკი(ს-პ)-შარლერუა | 80:69 |
| ჰაპოელი-ზადარი | 93:74 |

ვლადიმერ ბოისა (ზადარი): 17 ქულა, 8 მოხსნა

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-შოლე | 82:66 |
| ბიელა-ვენტსპილსი | 80:54 |
| ტელეკომი-ბილბაო | 70:85 |
| შიაულაი-არისი | 92:91 |
| ალბა-გალათასარაი | 87:77 |
| გრან კანარია-ნანსი | 77:65 |
| პანილიონისი-ტუროვი | 83:65 |
| ლე მანი-ჰემოფარმი | 92:90 |
| ტერამო-აზოვმაში | 85:77 |

## ხელბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

### ქალები

| | |
|---|---|
| ანგოლა-ტაილანდი | 36:16 |
| საფრანგეთი-კონგო | 29:22 |
| იაპონია-ჩილე | 38:19 |

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ფილადელფია-აილენდერსი | 6:2 |
| ოტავა-მონრეალი | 1:4 |
| ნეშვილი-ვანკუვერი | 4:2 |
| ანაჰაიმი-დალასი | 4:3(ოტ) |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ოთხი მედალი მინსკიდან

მინსკში ჩატარდა ოლიმპიური ჩემპიონის, ოლეგ კარავაევის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ბეგი დარჩიამ ბელორუსიის დედაქალაქში ახალგაზრდული შემადგენლობა წაიყვანა, მაგრამ 4 მედლის, აქედან 2 ოქროს ჩამოტანა მაინც მოახერხა.

ჩემპიონები გახდნენ ლაშა გოგიტაძე (55კგ) და რევაზ ლაშხი (60კგ). სხვათა შორის, ეს ორი მოჭიდავე ყველაზე გამოცდილი იყო შემადგენლობაში. 2 მედალი კი ერთ წონით კატეგორიაში (96კგ) მოიპოვეს ქართველმა მოჭიდავეებმა. სოსო ჯაბიძემ ვერცხლის, ხოლო მიხეილ ქაჯაიამ ბრინჯაოს მედლების აღება მოახერხეს.

— ამ ტურნირით 2009 წლის სეზონი დავხურეთ. მინსკში წასვლა თავიდან ჩვენს გეგმაში არ ყოფილა, მაგრამ გადავწყვიტეთ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდისთვის გამოცდილების მიღების შანსი მიგვეცა. მართალია, 4 მედალი ავიღეთ, მაგრამ შედეგზე მეტად ბიჭების შესაძლებლობების ნახვა უფრო მაინტერესებდა. მათი ჭიდაობით კმაყოფილი დავრჩი. ეს ახალგაზრდები ეროვნული ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან და თითოეულ მათგანს შანსი აქვს, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის ბრძოლაში ჩაერთოს, — განაცხადა დარჩიამ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ახალ სეზონს იანვარში დაიწყებენ. საქართველოს ჩემპიონატის ქუთისში ჩატარებას ძიუდოისტების მსგავსად „კლასიკოსებიც" იქ აპირებენ და ყველა უძლიერესი მოჭიდავის მონაწილეობა სავალდებულო იქნება.

# დღის კალენდარი

## 10 დეკემბრისთვის



**წლის 344-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 21 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

27-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი

ხსენება დიდისა მოწამისა, წმიდა იაკობ სპარსისა (421); ღირსთა მამათა რომანოზ სასწაულთმოქმედისა და პალადისა (VI-VII); 17 მონაზვნისა ინდოეთში წამებულთა.

წმიდა დიდმოწამე იაკობ სპარსი დაიბადა IV საუკუნეში ღვთისმოშიშ ქრისტიანთა ოჯახში. იგი მშობლებმა ლოცვისა და საღმრთო წერილის სიყვარულით აღზარდეს. ერთ-ერთი სამხედრო ლაშქრობის დროს იაკობმა უარყო ქრისტიანობა. როდესაც თავისი დანაშაული შეიცნო, შენდობას ევედრებოდა უფალს და მოწამებრივად დაასრულა თავისი ამქვეყნიური ცხოვრება.

ღირსი მამა რომანოზ სასწაულთმოქმედი დაიბადა ქალაქ როსში და ანტიოქიის შემოგარენში მოსაგრეობდა. ცხოვრების სიწმინდით მან წინათგანჭვრეტისა და კურნების მადლი მოიპოვა ზეგარდმო. მისი ლოცვა-ვედრებით უფალი მრავალ უშვილო დედაკაცს დედობის სიხარულს ანიჭებდა. წმიდა რომანოზი მკაცრი მმარხველი იყო. ანაფორის ქვეშ იგი მძიმე ბორკილებს ატარებდა. მრავალი წელი გაატარა წმიდანმა სრული განმარტოებით. ღრმა სიბერეს მიღწეული ღირსი რომანოზი მშვიდობით ჩაბარდა უფალს.

### დაიბადნენ:

1804 — კარლ გუსტავ იაკობი, გერმანელი მათემატიკოსი, ელიფსურ ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1851 წელს.

1821 — ნიკოლაი ნეკრასოვი, რუსი პოეტი, გარდაიცვალა 1878 წელს.

1870 — ადოლფ ლოოსი (ლოზი), ავსტრიელი არქიტექტორი, გარდაიცვალა 1933 წელს.

1891 — ნელი ზაქსი, გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1970 წელს.

1896 — შოთა აღსაბაძე, თეატრალური რეჟისორი, გარდაიცვალა 1966 წელს.

1908 — ოლივიე ეჟენ მესიანი, ფრანგი კომპოზიტორი, ორღანისტი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1992 წელს.

1924 — ხუტა ბერულავა, პოეტი, მწერალი.

1963 — გიორგი ბრეგვაძე, გაზეთ „ალიას“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

### გარდაიცვალნენ:

1618 — ჯულიო კაჩინი, იტალიელი კომპოზიტორი, მომღერალი, ვოკალური ხელოვნების თეორეტიკოსი.

1831 — თომას იოჰან ზეებეკი, გერმანელი ფიზიკოსი. აღმოაჩინა თერმოელექტრული ეფექტი (ზეებეკის ეფექტი).

1865 — ლეოპოლდ I, ბელგიის მეფე.

1884 — ჟიულ-ბასტიენ ლეპაჟი, ფრანგი ფერმწერი.

1893 — ალექსანდრე ყაზბეგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

1896 — ალფრედ ბერნჰარდ ნობელი, შვედი გამომგონებელი, ქიმიკოსი, ინჟინერი, ნობელის პრემიის დამფუძნებელი.

### მოვლენები:

1068 — თურქ-სელჩუკები ალფ-არსლანის მეთაურობით მეორედ შემოიჭრნენ საქართველოში.

1582 — საფრანგეთში შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი.

1799 — საფრანგეთში შემოიღეს მეტრული სისტემა.

1817 — მისისიპი აშშ-ს მე-20 შტატი გახდა.

1845 — შოტლანდიელმა ინჟინერმა რობერტ ტომსონმა დააპატენტა პნევმატური საბურავი.

1848 — საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს ლუი ბონაპარტი.

1898 — დასრულდა ესპანეთ—ამერიკის ომი.

1901 — პირველად გაიმართა ნობელის პრემიების გადაცემის ცერემონია. ამ დღეს ნორვეგიის მეფემ პრემია მშვიდობისათვის გადასცა შვეიცარიელ ჟან დიუნანსა და ფრანგ ფრედერიკ პასს, ხოლო შვეციის მეფემ — ფიზიკოს კონრად რენტგენს (გერმანია), ქიმიკოს იაკობ ვანტ-გოფს (ჰოლანდია), მიკრობიოლოგ ადოლფ ბერინგსა (გერმანია) და მწერალ ფრანსუა სიული-პრიუდომს.

ყოველი წლის 10 დეკემბერს — ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს სტოკჰოლმსა და ოსლოში იმართება ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი.

1903 — ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭა პიერ-მარი კიურის.

1904 — რუს ფიზიოლოგს ივანე პავლოვს ნობელის პრემია მიენიჭა.

1906 — ამერიკის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა.

1907 — რედიარდ კიპლინგს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

1919 — აშშ-ს პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა.

1922 — ფრიტიოფ ნანსენს, ნილს ბორს და ალბერტ აინშტაინს ნობელის პრემია მიენიჭათ.

1925 — ჯორჯ ბერნარდ შოუს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

1948 — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.

1994 — იცხაკ რაბინს, შიმონ პერესსა და იასირ არაფატს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭათ.

1997 — ყაზახეთის დედაქალაქი გახდა ქ. აკმოლა (1998 წლიდან — ასტანა).

### ღირსსახსოვარი დღეები:

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

ნობელის დღე.

ტაილანდი - კონსტიტუციის დღე.

ანგოლა - მუშათა პარტიის დღე.

**მედიანიუსი**

# ფრანგებს ქორწინება აღარ აინტერესებთ

საფრანგეთში სულ უფრო და უფრო მცირდება მათი რიცხვი, ვინც ერთმანეთს საქორწინო ვალდებულებებით უკავშირდება. ამას მოწმობს გამოკვლევა, რომელიც სტატისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის ეროვნულმა ინსტიტუტმა ჩაატარა.

გამოკვლევის მონაცემების თანახმად, 2008 წლის განმავლობაში საფრანგეთში 265400 ქორწინება იქნა რეგისტრირებული, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3%-ით ნაკლებია.

2009 წელს ტენდენციის შენარჩუნება აღინიშნება.

სარეგისტრაციო სამსახურების მუშაკებისათვის ეს მონაცემები სიახლეს არ წარმოადგენს. მათი თქმით, სულ უფრო და უფრო ნაკლები ფრანგი ქორწინდება და ამას თავისი მიზეზი აქვს.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საზოგადოება ძალიან შეიცვალა, შეიცვალა ადამიანების მენტალიტეტი. დღეს ბევრი მარტო ცხოვრობს, გათხოვების გარეშე აჩენს ბავშვებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცოტა ხანში ქორწინება შეიძლება წარსულს ჩაბარდეს.

სარეგისტრაციო სამსახურების თანამშრომლების თქმით, საფრანგეთში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სამოქალაქო ქორწინების თავისებური ფორმა, „პაქტ სივილ დე სოლიდარიტე“ — სამოქალაქო სოლიდარობის პაქტი.

იგი ათი წლის წინ გამოჩნდა, თავდაპირველად განსაკუთრებული პოპულარობით ჰომოსექსუალისტებს შორის სარგებლობდა.

დღეს ამ კავშირს სულ უფრო და უფრო ნაკლები სექსუალური მნიშვნელობა აქვს და 1999 წელთან შედარებით რეგისტრაციის წესები საგრძნობლად გამარტივდა.

გარდა ამისა, ამ შეთანხმების დადება არავითარ მატერიალურ ხარჯებს არ მოითხოვს, ხოლო დარღვევის დროს, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ბავშვები არ ჰყავს, ყველაფერი ისევე მარტივად ხდება, როგორც რეგისტრაციის დროს. იმავდროულად, საფრანგეთის იურუსპრუდენცია ამ კავშირს მრავალი თვალსაზრისით ქორწინების თანასწორად მიიჩნევს.

2008 წელს საფრანგეთში 140 ათასამდე ასეთი კავშირი გაფორმდა. ექსპერტების თქმით, ასე თუ გაგრძელდა, ურთიერთობების რეგისტრაციის ამ ფორმამ ქორწინების ინსტიტუტი შეიძლება მთლიანად ჩაანაცვლოს.

სპეციალისტების აზრით, სავსებით კანონზომიერია, რომ ფრანგები სულ უფრო და უფრო ნაკლებად ქორწინდებიან. ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეისათვის ქორწინებას აზრი არ აქვს, რადგან სამოქალაქო კავშირი იგივე უპირატესობებს იძლევა.

ექიმი თერაპევტის, პოლ ლავილის თქმით, პირადად იგი ხუთი წელია ყოფილ ცოლთან აღარ ცხოვრობს. ამასთან, იურიდიულად განქორწინება გაფორმებული არ არის რადგან მათი ურთიერთობა ნდობაზეა აგებული.

„ჩემი ცოლი ჩემი საბანკო ანგარიშით კვლავაც სარგებლობს და მე მას ამ მხრივ სავსებით ვენდობი. ცოტა ხნის წინ ახალი მანქანა ვუყიდე, რადგან ძველი გაუფუჭდა. დიახ, ჩვენ ერთად აღარ ვართ, მაგრამ იგი ჩემი შვილების დედაა და ჩვენ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა შევინარჩუნეთ“, — ამბობს იგი.

ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ყოფილი მეუღლე განქორწინების გა-



ფორმების აუცილებლობას ვერ ხედავს.

თავის მხრივ, ეს შემთხვევა უნიკალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან 2008 წელს საფრანგეთში 131300 განქორწინება დაფიქსირდა.

საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს ინფორამციით, ოთხი წლის წინ საფრანგეთში განქორწინება უფრო გამარტივდა და გაიაფდა, ამჟამად, ორივე მეუღლის თანხმობის შემთხვევაში განქორწინება სამ თვეში ფორმდება.

განქორწინება, როგორც სოციოლოგები აღნიშნავენ, ფრანგებისათვის პირად დრამად კი რჩება, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. იგი იმდენად გავრცელებული მოვლენაა, რომ საფრანგეთში „განქორწინებების ბაზრობებიც“ კი იმართება.

ცოტა ხნის წინ მსგავსი ღონისძიება პარიზში გაიმართა. მისი ორგანიზატორების მოსაზრებით, ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, რათა განქორწინება გულთან ძალიან ახლოს არ მიიტანონ, რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად არ მიიჩნიონ და პირიქით, დადებითი ემოციებიც კი მიიღონ მისგან.

ამ იდეამ ფეხი თუ მოიკიდა, ახლო მომავალში მსგავსი აქციები ლილში, ლიონსა და მარსელშიც შეიძლება გაიმართოს.

თუმცა, ამ ოპტიმიზს ყველა არ იზიარებს, ქალაქ პოს მერიის ქორწინების რეგისტრაციის განყოფილების თანამშრომელი ქრისტინ რავერა ამტკიცებს, რომ განქორწინების ბაზრობა სრული სისულელეა და ორივე მხარე მაინც ტრავმირებული რჩება.

ფრანგული წყვილების კიდევ ერთი თავისებურებაა ახალდაქორწინებულთა ასაკის მატება. საფრანგეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის თანახმად, 2008 წელს პირველად დაქორწინებულ ქალთა საშუალო ასაკმა 32.5 წელი შეადგინა, მამაკაცებისამ — 30.5 წელი.

განქორწინების შემდეგ მამაკაცები მეორედ დაქორწინებას 48 წლის ასაკში ბედავენ, ქალები — 44 წლის ასაკში.

# აშშ-ის მთავრობა თითოეულ ინდიელს 1500 დოლარს გადაუხდის

დავაში, რომელიც ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, გამარჯვება ამერიკელ ინდიელებს დარჩათ.

აშშ-ის მთავრობამ ინდიელებისათვის 3.4 მილიარდი დოლარის გადახდის გადაწყვეტილება მიიღო. ეს თანხა იმ შემოსავლების არასწორად განაწილების კომპენსაციაა, რომელსაც ინდიელთა ტომების მიერ საკუთარ მიწად მიჩნეული ტერიტორიების ექსპლოატაციის შედეგად იღებდნენ.



ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი 2 მილიარდი დოლარი მოხმარდება სპეციალური ფონდის შექმნას, რომელიც მიზნად ამ მიწების გამოსყიდვას ისახავს.

კიდევ 1.4 მილიარდი დოლარი ტომების წევრებისათვის ფულის გადახდას მოხმარდება.

ამგვარად დადებული შეთანხმების თანახმად, 300 ათასი ინდიელიდან თითოეული 1.5 ათას დოლარს მიიღებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ამ შეთანხმებას ინდიელებსა და ფედერალურ მთავრობას შორის შერიგებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა.

მისი აზრით, ეს შეთანხმება მომავალში ინდიელების კუთვნილი აქტივების უფრო ეფექტურად გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ლაპარაკია იმ შემოსავლების გამოყენებაზე, რომელსაც აშშ-ის მთავრობა მრავალი წლის განმავლობაში 23 მილიონი ჰექტარი მიწის ექსპლოატაციისაგან იღებდა.

ფედერალურმა ხელისუფლებმა ინდიელებთან 100 ათასამდე შეთანხმება დადეს და ეს შეთანხმებები მათ მიწებზე ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურთვას, მაღაროების გამოყენებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებას ეხებოდა.

ინდიელები, რომლებსაც ეს მიწები ისტორიულად ეკუთვნოდათ, კომპენსაციის სახით 47 მილიარდი დოლარის გადახდას მოითხოვენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# კროსვორდი



**შვეულად:** 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. მაღალმთიანი ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში, განახლება; 14. სწავლა-განათლების, მეცნიერების მტერი; 15. პოპულარული სასტუმრო გაგრაში; 16. საფარიკაო სპორტული იარაღი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი, მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 7. ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერ ყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. თვითმფრინავის, გემის ტარების სპეციალისტი; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიური გმირი; 24. ხუმარა, ენამოსწრებული ადამიანი; 25. მხატვრულ ფილმ „გლადიატორის“ კინორეჟისორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. ტრიტიკალე; 4. „ბურდა“; 5. ყიფიანი; 8. იდილია; 9. ბუტლეგერი; 12. ფაბულა; 14. ჩარექი; 16. უბისა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. ბრონეული; 7. რეზიუმე; 9. „ბენტლი“; 10. „იავა“; 11. კლიენტი; 13. მაჩვი; 15. კაკადუ; 17. ფერწერა; 18. იუმორი; 19. „აიაქსი“; 20. კარიერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ფუტზალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. ჯოისი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. „ალადასტური“; 15. ტოპონიმი; 16. პოლინეზია; 17. „სამაია“; 19. „გალუაზი“; 21. ხარკი; 22. „ბრაგა“.

**თარაზულად:** 1. „იფიგენია“; 5. ჯინი; 7. „პოპული“; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. აგარა; 20. პლასტიკა; 22. ბრიჯი; 23. „პუბლიკა“; 24. „ზანავი“; 25. კიტრი.

# ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილმა შეფმა ერაყის ომთან დაკავშირებით ჩვენება მისცა

ბრიტანეთის დაზვერვის მი-6-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა სერ ჯონ სკარლეტმა ერაყის ომის დაწყების გარემოებების გამომძიებელ კომისიის წევრებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ბრიტანეთის დაზვერვას ბაღდადის ხელში მყოფი იარაღის შესახებ მონაცემებით მანიპულირების შეგნებული მიზნები არ ჰქონია.

მან უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვას, ხომ არ ხდებოდა ზეწოლა სპეცსამსახურებზე 2002 წლის დოსიეს დაზვერვის მონაცემებით „გამყარების" მიზნით. ამ დოსიეში ნათქვამი იყო, რომ ერაყს სადამ ჰუსეინისაგან შესაბამისი ბრძანების მიღების შემდეგ მასობრივი განადგურების იარაღის საბრძოლველად 45 წუთში მომზადება შეეძლო.

მოგვიანებით, ჯონ სკარლეტმა აღიარა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი დოსიეში უფრო ნათლად იქნებოდა ნათქვამი, რომ ლაპარაკი იყო საველე სისტემებზე და არა სარაკეტო დანადგარებზე.

ამასთან, კომისიის წევრებს მი-6-ის ყოფილი დირექტორისათვის არ დაუსვამთ შეკითხვა პარლამენტის დეპუტატის ერთ-ერთ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ინფორმაცია 45-წუთიანი მზადყოფნის შესახებ დაზვერვამ ვიღაც ტაქსისტისაგან მიიღო.

ჯონ სკარლეტი 2002 წლის დოსიეს გამოქვეყნების მომენტისათვის გაერთიანებული საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, რომელსაც ამ დოკუმენტის მომზადების პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

მან განაცხადა, რომ დაზვერვას არ გააჩნდა მონაცემებით მანიპულირების, ან საკითხის გაბუნდოვანების გაცნობიერებული მიზანი.

სერ ჯონ სკარლეტი ბრიტანეთის საპარლამენტო კომისიას ტელეკამერების წინაშე საათ-ნახევრის განმავლობაში აძლევდა ჩვენებას და ამ დროის განმავლობაში მისთვის ერთხელაც არ უკითხავთ, თუ საიდან გაჩნდა ვერსია 45-წუთიანი მზადყოფნის შესახებ.

მოგვიანებით კომისიის თავმჯდომარე სერ ჯონ ჩილკოტმა განაცხადა, რომ დაზვერვის ყოფილ შეფს კიდევ ერთხელ დაკითხავდნენ, ოღონდ დახურულ კარს მიღმა.

ჯონ სკარლეტმა კომისიის წევრების წინაშე 2003 წლის 19 მარტის, ანუ ერაყში კოალიციის ჯარების შეჭრის წინ მომხდარი მოვლენების შესახებ ისაუბრა.

ამ დღეს, მისი თქმით, გაერთიანებული საგამოძიებო კომიტეტი იხილავდა ინფორმაციას, რომლის საფუძველზე შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ბაღდადმა თავისი ქიმიური იარაღის დემონტირება მოახდინა და საეჭვოა, რომ მისი სწრაფად აღდგენა შეძლებოდა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ახალი არ ყოფილა და კომიტეტმა გადაწყვიტა, არ შეეცვალა თავისი აზრი, რომლის თანახმადაც სადამ ჰუსეინის რეჟიმს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი და მათი საშუალებით საველე საჭურვლის დამუხტვის შესაძლებლობა ჰქონდა.

ეს დასკვნები, სკარლეტის თქმით, დიდი ბრიტანეთის იმდროინდელ თავდაცვის მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს მიაწოდეს.



ომის სადაზვერვო ინფორმაციის საიმედოობის საკითხის განხილვის დროს მან განაცხადა, რომ ერაყის საზოგადოების ბუნება, სადაც პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად სადამ ჰუსეინის ნებასურვილზე იყო დამყარებული, რაიმე მონაცემების მიღების პროცესს ართულებდა, განსაკუთრებით შეიარაღების საიდუმლო პროგრამებთან დაკავშირებით.

მი-6-ის ყოფილი შეფის თქმით, სპეცსამსახურები ფრთხილად ეკიდებოდნენ საკუთარი წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, მათ შორის განდევნილობაში მცხოვრები ერაყის ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან მიღებულ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, 2002 წლის აგვისტო-სექტემბრის მონაცემები მიანიშნებდა, რომ სადამ ჰუსეინმა ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობის პროგრამები დააჩქარა და აუცილებლობის შემთხვევაში მათ გამოყენებას აპირებდა.

ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა პარლამენტში ადამ ჰოლოუეიმ განაცხადა, რომ რჩევები, რომლებსაც სამხედრო ოპერაციის წინ სამხედროები იძლეოდნენ, „პოლიტიკური ქარების მიმართულებას" შეესაბამებოდა.

ამის შესახებ ნათქვამია დოკუმენტში სახელწოდებით „ბრიტანეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფიასკო", რომელიც ჰოლოუეიმ პარლამენტში ჯონ სკარლეტის გამოცხადებამდე რამდენიმე წუთით ადრე გამოაქვეყნა.

მისი თქმით, ყბადაღებული 45 წუთი მხოლოდ იმიტომ გამოჩნდა, რომ ბრიტანეთის დაზვერვა, რომელიც თავად დაუნინ სტრიტის ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, თავისი აგენტებისაგან ერაყის ხელში ქიმიური იარაღის არსებობის დამადასტურებელი ინფორმაციის „გამოწურვას" ცდილობდა. ამ ინფორმაციის წარმომავლობა ბოლომდე დადასტურებული არ ყოფილა, არავის განუმარტავს, სანამ საბოლოოდ არ გაირკვა, რომ იგი ერაყი-იორდანიის საზღვარზე ემიგრანტი ტაქსისტისაგან გავრცელდა, რომელმაც ორი წლის წინ თავისი ტაქსის უკანა სავარძელზე მოსმენილი საუბარი გაიხსენა. დაზვერვის ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა, როგორც ჰოლოუეი აღნიშნავს, ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია საიმედო არ იყო. დიდი ბრიტანეთის მთავრობას მის პუბლიკაციაზე რეაგირება არ მოუხდენია.

# აფრიკა ნარკოტიკებით ვაჭრობის ცენტრი ხდება

გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს უფროსმა ანტონიო მარია კოსტამ გამოაცხადა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის ზრდის წყალობით აფრიკა საერთაშორისო დამნაშავეობის ცენტრი ხდება.

მისი თქმით, ტერორისტები და მეამბოხეები თავიანთი საქმიანობის ფინანსირების მიზნით დიდი რაოდენობით ჰეროინსა და კოკაინს ყიდიან.

კოსტამ გარდა ამისა, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ტრანსსაჰარული ქსელის შექმნისაკენ მოუწოდა.

მიმდინარე წლის ნოემბერში მალის ხელისუფლებმა უდაბნოში იპოვეს „ბოინგის" ნამსხვრევები, რომლითაც სავარაუდოდ 10 ტონამდე კოკაინი გადაჰქონდათ.

კოსტამ დაადასტურა, რომ ყოველწლიურად დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით გვინეა-ბისაუში 50-60 ტონამდე კოკაინი ჩადის, აღმოსავლეთ ფრიკაში კი ავღანეთიდან 30-35 ტონა ჰეროინი შეაქვთ.




ნარკოტიკები გარდა იმისა, რომ კრიმინალურ დაჯგუფებებს ამდიდრებს, ტერორისტებისა და მეამბოხეების საქმიანობასაც აფინანსებს. მისი გაყიდვით მიღებული სახსრებით მეამბოხეები ცოცხალ საბრძოლო ძალას ქირაობენ, მათ შორის მოზარდებს შორის.

ანტონიო მარია კოსტამ გარდა ამისა განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინ გვინეაში აღმოაჩინეს რამდენიმე იატაკქვეშა ლაბორატორია, სადაც სინთეტიკურ ნარკოტიკებს ამზადებდნენ.

თავის მხრივ, გაეროს გენერალურმა მდივანმა პაკ გი მუნმა განაცხადა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო სამშვიდობო ოპრეაციებზე ავღანეთში, ჰაიტიში, გვინეა-ბისაუსა და სხვა ქვეყნებში.

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აფრიკაში ნარკოტიკებით ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით შეშფოთებაა გამოთქმული. ეს რეზოლუცია ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ მოუწოდებს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ირინე, შვილები ხათუნა, დავითი, დანიელი, შვილიშვილები ალექსანდრა, გაბრიელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი

**გაბრიელ ჩოჩოშვილი**

პანაშვიდი: 10, 11 დეკემბერს, 16 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში.

გამოსვენება: 12 დეკემბერს, კუკიის წმიდა ნინოს ტაძრიდან.

დაკრძალვა: დედათა მონასტერში.

**არქიმანდრიტ გაბრიელის ხსოვნას**

ძნელია თქვენთან განშორება, ჩვენო უკეთილშობილესო მოძღვარო. წმ.ნინოს სახელობის ტაძრის მთელი მრევლი დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით გემშვიდობებით, ბედნიერი იყო და არის ის ადამიანი, ვისაც თქვენი ლოცვა-კურთხევა მიუღია და დალოცვილი დარჩა თქვენებური დამოძღვრითა და უფლის სიყვარულის ქადაგებით. უფალს შევთხოვთ, თქვენი ნათელი და წმინდა სული მარადჟამს დამკვიდრებულიყოს ცათა სასუფეველში.

*კუკიის წმ. ნინოს ტაძრის მრევლი*
*ხათუნა ბაგრატიონი ოჯახით*

ალბერტ მახარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**კიაზო შიოს ძე დავლიანიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ჩიტო, აკაკი, ქეთინო როყვები, რძალი ლიკა, სიძეები პეტრე მამადაშვილი, კახა სუხიშვილი, ამირან გზირიშვილი, გუკა გურგენიძე, შვილიშვილები ნინო, სალომე, პაატა, შოთა, გიგი, თათია, ქეთა, შვილთაშვილები საბა, ნიტა, დისშვილები, ძმისშვილები თემურ, თამაზ, ომარ გოცირიძეები და უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ კონსტანტინეს ასული გოცირიძე-როყვა**

პანაშვიდი: 10, 11 დეკემბერს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 12 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: გაგარინის ქ.№1, I სადარბაზო.



**ჯემალ ბოლქვაძის გახსენება**

უშენობის ერთმა წელმა უმნიშვნელო ნერვისა თუ თითოეული უჯრედის გაუსაძლის ტკივილში გაიარა. ამბობენ — დრო მკურნალიაო. არ დაიჯეროთ. დრო ის უძლეველი ფენომენი ყოფილა, რომელიც რაც უფრო მეტად ხანგრძლივდება, თურმე, მით უფრო გიმძაფრებს სიმარტოვისა და მონატრების შეგრძნებას. ეს მანამდე გაგრძელდება, ვიდრემდე ცოცხლები ვიქნებით შენი მშობლები და ერთადერთი უსაყვარლესი ძმა.

ჯემალ, შენ არავის ჰგავდი, შენ ყველაზე ერთგული, კეთილი, სათნო და ვაჟკაცური იყავი. შენ, 19 წლის ასაკისთვის ისეთი ცოდნა და განათლება გქონდა უკვე, სხვები ნახევარ ცხოვრებას რომ ანდომებენ. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, ჩვენი რომ იყავი, არამედ იმიტომ, რომ დღესაც ვერ გაუცნობიერებიათ უშენობა შენს თანაკლასელებს, თანაკურსელებს, ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს. იმ პედაგოგ-ლექტორებს, ვინც საბავშვო ბაღიდან მოყოლებული, უმაღლესი სასწავლებლით დამთავრებული, მხოლოდ მასწავლებლები კი არა, შენი უფროსი მეგობრებიც იყვნენ.

უკრავდი ნებისმიერ საკრავზე, მღეროდი, ცეკვავდი შეუდარებლად. წერდი და რას წერდი თურმე... შენი დაღუპვის შემდეგ გამოცემულმა ლექსთა კრებულმა, ბევრს სხვა თვალით დაანახა ეს წუთისოფელი და განა შეიძლება ოდესმე გაფერმკრთალდეს ან ჩაინავლოს ჩვენს ხსოვნაში კი არა, მთელ ჩვენს არსებაში სამუდამოდ დავანებული შენი სახება და არსი?!

ნაადრევად, 8 თვის მოევლინე ქვეყანას, პირველმა გვაგრძნობინე მე და დედაშენს მშობლობის ენით აუწერელი ბედნიერება და მოულოდნელად, შენვე ჩაკალი ჩვენში სიარულით ტკბობის შეგრძნება.

ენით აუწერელი საშინელებაა ჩვენთვის 11 დეკემბერი. იმ ავტოკატასტროფამ დაარღვია ბუნების კანონზომიერება. — მშობელს შვილი არ უნდა უკვდებოდეს, არა!

დრო მკურნალიაო. ტყუილია, არ დაიჯეროთ! დრო ვერასოდეს გახდება ამ მწარე ტკივილის მკურნალი...

*მშობლები დავით და თამარ, ძმა ლევან ბოლქვაძეები*

პალიკო ესებუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დისშვილის, გურამ სიჭინავას მეუღლე

**ლაურა ალექსანდრეს ასული პერტაია-სიჭინავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 10, 11 დეკემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: შაბათს, 12 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, მუხიანის II მ/რ (დუმბაძის გამზირი) მე-18 კორპუსი, ბინა 39.

შვილობილი ნოდარ ტაბიძე თანაუგრძნობს ჩიტო, ქეთი და აკაკი როყვებს დედის და პეტრე მამადაშვილს სიდედრის

**ეთერ კონსტანტინეს ასულ გოცირიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 10 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანელიას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "რიდიმი" **14.00** მეხსიერება – სპორტი: ფალავნები **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "მე-2 მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **19.05** მეხსიერება – ფილმი - შრომის სიმღერები **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე"** **22.00** დიალოგი **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფ. **"სახიფათო კავშირები"** (18) (მ. პფაიფერი)
ბ) მხ. ფ. **"ცხოვრება როგორც სახლი"** (12) (კ. კლაინი)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფილმი **"მიმართეთ ჯეინს"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვის უნდა 20 ათასი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** პროფილი **23.40** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი **"კომპრომატი"** (18) (კ. შეფერი)

**08.00** მულტფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"დონ კიხოტი"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მ-კოდი **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"ლაბირინთი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** მხ. ფილმი **"შემზარავი წინათგრძნობა"** (12) (ს. ბალოკი) **00.00** სერ. **"სანდრა პაოლას კლანი"** **01.00** მხ. ფილმი **"მოუხელთებელი ენტონი ზიმერი"** (12) (ს. მარსო) **02.40** ქრონიკა **02.55** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.55** მხ. ფილმი **"ქონიანი ალბერტი"** **10.30, 19.30** სერ. **"ღირსების საქმე"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"ნათლიმამები"** **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფილმი **"ტყვიაგაუმტარი ბერი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"კიდევ ერთი ისტორია ტკივილების გვარიდან"** **00.50** მხ. ფ. **"ზეიმი არ იქნება"**

ერთსულოვნება

**09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ვედრება"** **13.30** კონცერტი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფილმი **"ცისკრის ზარები"** **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ფესვები"** **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მიწათმოქმედი **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დოკ. სერ. "საბჭოთა საქართველო" მე-7ს.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 10 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6825 |
| ევრო | 2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7536 |
| რუსული რუბლი | 0,0533 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 9-3
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-16, ღამით — 5-8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -5-3, ღამით — -12 -1

## ამინდის პროგნოზი 10 დეკემბრისთვის





## ქართული ფლორის საოცრება
## „სალხინო”
## უებარი წამალია



„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# პლატინიმ საქართველო-რუსეთი ერთად უარყო

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე შვეიცარიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ და რამდენიმე შეხვედრა გამართეს, მათ შორის უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისთან. უეფას ბოსთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ პლატინი საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვევა, სავარაუდოდ, 20 თებერვლიდან 20 აპრილამდე მონაკვეთში, ზუსტი თარიღი კი იანვარში გადაწყდება. ამ ვიზიტით პლატინი კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერას. მანამდე კი, უფრო სწორად, იანვარში საქართველოს უეფას დელეგაცია ეწვევა და კონკრეტულ თემებზე ისაუბრებენ.**



შვეიცარიიდან დაბრუნებულმა სფფ-ს ხელმძღვანელობამ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა.

**ზვიად სიჭინავა:**

— შვეიცარიიდან კმაყოფილები დავბრუნდით. ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა სხვადასხვა განყოფილებების წარმომადგენლებთან. გადაწყდა, რომ იანვარში თბილისში ჩამოვლენ პროგრამების დირექტორი პასკალ ტორესი და უშუალოდ საქართველოს კურატორი უეფაში ჟოზე კლიმენტი. მათთან ერთად თბილისს საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვევა. ჩატარდება სემინარი მენეჯმენტსა და მარკეტინგზე, აგრეთვე მსაჯებთან და ბავშვთა ფეხბურთზე. მიშელ პლატინის გავაცანით აუდიტის დასკვნა და ვთხოვეთ პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარონ. უეფას პრეზიდენტთან შეხვედრაზე ასევე დავაყენეთ საკითხი, რომ კიდევ ერთხელ გამოეხატა მხარდაჭერა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და მანაც მხარდაჭერა აღგვითქვა. პლატინი დაგვპირდა, რომ გაისად აუცილებლად ეწვევა საქართველოს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. პლატინისთან კონკრეტულად არ გვისაუბრია თუ სად და რომელი სტადიონის რეკონსტრუქციას ვაპირებთ, თუმცა, ვთხოვეთ დახმარება სპეციალისტების მხრივ, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. პლატინის ვუთხარით, რომ ფინანსებზე მეტად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## ასტროპროგნოზი
### 10 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**აკონტროლეთ ემოციები**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, ეს დღე ისე გაატარეთ, როგორც გსურთ. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მორიელი** — არ გარისკოთ, დღეს მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **თხის რქა** — ახალი პროექტი გაამართლებს. **მერწყული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თევზები** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჯგუფი „სანდა“ საფრანგეთში მიდის

ეკა ირემაშვილი

ქართული ჯგუფი „სანდა“, რომელსაც ოთხი ალბომი აქვს გამოშვებული, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, გაზაფხულზე საფრანგეთში გაემგზავრება. ჯგუფი „სანდა“ საფრანგეთში ქართულ-ფრანგული მეგობრობის სახლის ინიციატივით ბრეტონიის სახელმწიფო რადიომ და კლუბების ქსელმა „ბონ ვოიაჟმა“ ბორდოში, რენში, კანსა და პარიზში კონცერტის ჩასატარებლად მიიწვია.



მანამდე კი მოსამზადებელი ციკლის პირველი ეტაპისთვის ქართული ჯგუფი „მაგთი კლუბში“ სოლოკონცერტს გამართავს. კონცერტზე პინქ ფლოიდის, პიტერ გებრიელის, იუ თუს, რედიოჰედის, ქოულდფლეის და სხვა ცნობილი ჯგუფების ჰიტები შესრულდება.

**ლევან ბეიტრიშვილი, კომპანია „პრომო ინდასტრიზ“-ის ხელმძღვანელი:**

— ეს არის კომპანია „პრომო ინდასტრიზ“-ის პირველი პროექტი, რომელსაც საზღვარგარეთ განახორციელებს.


გაგრძელება მე-9 გვერდზე



„საქართველოს ტელერადიოცენტრის" კოლექტივი ულოცავს ტექნიკური სამსახურის დირექტორს, ბატონ

**ბორის შალვას ძე ადამიას**

დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
სიკეთესა და სიხარულს, ბედნიერებას
ლამაზ და შესანიშნავ ოჯახთან ერთად,
წარმატებებს ყოველგვარ საქმიანობაში.
გფარავდეთ ღმერთი!




## იუმორი



***

— შემოიარე ამ საღამოს ჩემთან, ვინდოუსი დამიყენე.

— საინსტალაციო დისკები რომ არ მაქვს?

— აფთიაქში გაიარე და იყიდე...

***

— სიბნელეში გზას აიფონით თუ გაინათებ, შარს გადაეყრები...

***

— მე უხამსი კი არა, ეროტიკულად ხუმარა ვარ...

***

— მეგობრები ჰაკერს თუ გეძახიან, ნუ გაგიხარდება, რადგან ნამდვილ ჰაკერს არავინ იცნობს და არც მეგობრები ჰყავს, კომპიუტერის გარდა...

***

— ჭკვიანური აზრი სულელურისაგან იმ თავით განსხვავდება, რომელშიც იბადება...

***

პროგრამისტს ეკითხებიან:
— რამდენი შვილი გყავს?
— ორი ბიჭი.
— რა ხნის არიან.
პაუზის შემდეგ:
— ერთი კომპიუტერით თამაშობს, მეორე ჯერ არა...

***

— ერთი აბიც გეყოფა.
— რა, ასეთი ეფექტურია?
— არა, მეტი არ გვაქვს...

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამშენებლო მასალა; 2. მრგვალი, წითელი შავწინწკლებიანი მწერი; 3. ხელმოწერის ზუსტი პირი, კლიშე; 4. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყელის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ცირკის არენა, მოედანი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 16. აშშ-ს პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 1. თამარ მეფის დედა; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 10. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში; 13. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 17. აეროპორტი ბუქარესტში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 19. მოუქნელი ადამიანი; 20. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ტესტი

## როგორ ართმევთ თავს ფინანსურ პრობლემებს?



***1. როგორ უმკლავდებით ფინანსურ პრობლემებს?***

ა. შესანიშნავად. ბ. კარგად. გ. ისე რა. დ. ცუდად.

***2. მოულოდნელად მსხვილი თანხა თუ ჩაგივარდათ ხელში:***

ა. დახარჯავდით მთლიანად. ბ. გადაინახავდით. გ. ვალებს გაისტუმრებდით. დ. ცოტას დახარჯავდით, ცოტას გადაინახავდით.

***3. როგორ აღწერდით თქვენს დამოკიდებულებას ფულის მიმართ?***

ა. პრობლემებს არ განვიცდი ბ. ეკონომიურად ვხარჯავ. გ. გაჭირვებით გამაქვს თავი დ. მუდმივად არ მყოფნის.

***4. თუ თავს ცუდად, უხასიათოდ გრძნობთ, რას აკეთებთ?***

ა. ახლობელთან პრობლემატურ თემაზე საუბრობთ. ბ. მაღაზიებს ჩამოუვლით. გ. სასეირნოდ მიდიხართ. გ. კარგად გამოიძინებთ.

***5. თქვენი მშობლები:***

ა. საერთო „ფონდიდან“ ისტუმრებდნენ ხარჯებს. ბ. გარკვეულ ხარჯებს ერთად ისტუმრებდნენ. გ. ცალ-ცალკე ფული ჰქონდათ. დ. შემოსავალს ერთმანეთს უმალავდნენ.

***6. ვინ იღებდა თქვენს ოჯახში ფინანსურ გადაწყვეტილებებს?***

ა. მამა. ბ. დედა. გ. მამა და დედა. დ. სხვა პირები.

***7. როგორ უნდა გადაწყდეს ფინანსური საკითხები ოჯახში.***

ა. საერთო სალარო, ერთი წყვეტს ყველაფერს. ბ. საერთო სალარო, საერთო გადაწყვეტილება. გ. ნაწილობრივი სალარო. დ. ცალკე ფული.

**პასუხები** ა — 4. ბ. — 3, გ. — 2. დ. — 1

**7-12 ქულა:** თქვენი ქორწინება დიდი ხანია განიცდის ფსიქოეკონომიკურ კრიზისს და იგი თავისთავად არ გადაწყდება. სასწრაფოდ უნდა მოძებნოთ გამოსავალი.

**13-17 ქულა:** ფული უმნიშვნელოვანესი რამ არ არის, მაგრამ იგი შეიძლება პარტნიორებს შორის მნიშვნელოვანი განხეთქილების მიზეზი გახდეს.

**18-22 ქულა:** დაფიქრება გმართებთ, როგორც ჩანს, ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის თქვენი უნარი შეიძლება სირთულეების მიზეზი გახდეს.

**23-23 ქულა:** შესანიშნავად ართმევთ ფინანსურ პრობლემებს თავს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**